საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 199

სამშაბათი, აპრილის 25

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

მარო და პარმენ ჭანიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს საყვარელ რძლის და მეგობრის

იუსტინა ჭანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

ნუცა უჯმაჯურიძე ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს დედის მსგავსად საყვარელ ბიცოლა

იუსტინა ჭანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას

ნ. ბარათაშვილის წიგნის

ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

ხელის მომწერლებს, რომელნიც ბარათს წარმოადგენენ, წიგნი ფასდამატებით შეუძლიანთ მიიღონ ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წ. მაღაზიაში (ორიანტის ქვეშ).

წიგნი რიგდება პირველ აპრილიდან და შესწყდება პირველ ივნისს.

დაიბეჭდა და იყიდება

ახალი საბავშვო სურათებიანი წიგნი

სოფრ. მგალობლიშვილისა

სახლები და ცხვრები და სხ. ივავარაკნი

მისივე:

ტომი 1 და 2

ბუხჰალტერია

ქ. წერა კითხ საზოგ. მ ღაზიაში.

სამშაბათს, აპრილის 25-ს, საღამოს 6 საათზე

სასახლეში დანიშნულია

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

პრეზიდიუმის სხდომა

ც. ა. კ. მდივანი თ. კალანდაძე.

მომენტი და მემარჯვენენი.

დღევანდელი მომენტი ფრიად დიდი პოლიტიკური კომბინაციებით ხასიათდება. ერთი მხრივ სოციალისტთა კონგრესები და მეორე მხრივ კაპიტალისტთა კონფერენციები დიდი პოლიტიკური ღირებულების მქონეა, რომელიც განსაზღვრული ურთიერთობის წინაშე დაგვაყენებს.

მემარჯვენე წრეები დიდიდან საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა, ელოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაცემას და ამ ნიადაგზე აშენებდნენ თავის პოლიტიკურ კრედოს. არსებული წყობილების დასხვა ეფემერულად და წარმავალად ფართო სარბიელს აძლევდა მათ „მოღვაწეობას", რომელიც მდგომარეობდა უმთავრესად შემდეგ ფორმულაში „რაც უარესი, მით უკეთესი".

ამ ტაქტიკით ისინი ცდილობდენ მასის თავის გავლენის ქვეშ დაყენებას და ხელს უწყობდნენ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში უწესოებას, ანარქიისა და არევ-დარევის გამეფებას. ასეთი ტაქტიკა გამომდინარეობდა ლოღიკურად იმ შემცდარ მხედველობიდან, რომლითაც ისინი იღებდნენ მთავარ დებულებას, რომლის მიხედვით საბჭოთა წყობილების დღენი დათვლილად მიაჩნდათ.

დღეს უკვე მეორე წლის წინაშე სდგას ჩვენი ხალხი საბჭოთა წყობილების დამყარებიდან, ხოლო რუსეთის ხალხი უკვე 5 წელს მოესწრო ამ წყობილებით. უკვე დროა, რომ კრიტიკულად შეხედოს მემარჯვენე წრეებმა თავის პოლიტიკას და მოახდინოს სწორი ანალიზი არსებული მდგომარეობის. ეს მით უფრო საჭიროა დღეს, როდესაც როგორც სოციალისტურ ისე კაპიტალისტურ წრეებში ხდება ერთგვარი გარკვეული სახეების ჩამოყალიბება.

ვის არ ახსოვს, თუ როგორი იმედი აღეძრა ვაშინგტონის კონფერენციის დროს მემარჯვენეთა წრეებს, მაგრამ დღეს უკვე ფაქტია ის გარემოება, რომ ვაშინგტონმა ახალი ვერაფერი სთქვა ვერც ერთ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

კანის კონფერენციამ მიაღწია იმ ელემენტარ აზრს, რომ ევროპის ეკონომიური რენესანსი რუსეთ-გერმანეთის იზოლიაციის დროს შეუძლებელია. დღეს გენუაში გაცხარებული ბრძოლაა გამართული. გენუას დასაწყის, სამი ინტერნაციონალის კონფერენციამ, რომელიც ლონდონში შესდგა, მემარჯვენენი ჩვეულებრივი შედეგების წინაშე დააყენა. სოციალისტური ძალა, სამი ინტერნაციონალის სახით და მათი შეთანხმება სასიკვდილო განაჩენია საქართველოში არსებულ მემარჯვენე წრეების. ეხლა ჯერი გენუაზეა მიმდგარი. თუ გენუამ ვერ იხსნა მათი პოლიტიკური ფორმულა, მაშინ მათ წინაშე დადგება აუცილებლობა სხვა გზით სვლისა.

რას ეტყვის გენუა მემარჯვენეთ?

გენუაში მოპირდაპირე ძალთა ურთიერთობა კომპრომისულია. ეს მდგომარეობა შედეგია მეურნეობის შინაგანი თვისების. ვერც ევროპის ეკონომიური წარმატება მოხერხდა რუსეთის იზოლიაციის დროს და ვერც რუსეთმა შესძლო ეკონომიური ცხოვრების აღორძინება კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობის გარეშე. რევოლიუცია — რეაქცია იძულებულია კომპრომისულ ურთიერთობაში იყვნენ. რა თქმა უნდა ეს შერიგებას არ უზრუნველყოფს საბოლოოდ, მაგრამ იგი დღეს დღეობით მაინც შესძლებს ერთმანეთის გამოყენებას.

ამდენათვე საქართველოს საკითხი შეუძლებელია გახდეს ამ ორ ძალთა ანტაგონიზმის მიზეზათ. მემარჯვენე წრეები აქაც ისე დამარცხდებიან, როგორც ყოველთვის და მათ წინაშე დადგება ის საკითხი, რომელიც დადგა „ვეხისტების" წინაშე.

ვერც სოციალისტური კონგრესი და ვერც კაპიტალისტური კონფერენცია ვერ გაამართლებს მათ შედეგებს. ამიტომ საჭიროა ხელახალი გადაფასება მოახდინონ მემარჯვენე წრეებმა თავისი პოლიტიკის და ერის სამსახურის წინაშე მიიტანონ თავის საქმიანობის შედეგები.

ფანატიზმი და ჟინიანობა არ გამოდგება იქ, სადაც მოვლენათა წყობა სხვა გზით მიეშურება, სადაც ხალხისა და ერის სამსახური სხვა პოლიტიკას მოითხოვს.

დროა დაუბრუნდეთ ხალხის სამსახურს. მემარჯვენეებმა უნდა გაითვალისწინონ ის დამღუპველი შედეგები, რომელიც მათი პოლიტიკის წყალობით აქვს მიყენებული ჩვენს ეროვნულ სხეულს.

ისტორიის ლოღიკას ვერ შევცვლით, საჭიროა ისევ პოლიტიკა შევსცვალოთ. რაც მალე—მით უკეთესი.

სერ. ამაღლობელი

* * *

გენუას კონფერენციის გარშემო

საქართველოს საკითხი გენუას კონფერენციაზე

„ბერლინერ ცეიტუნგი" იუწყება, რომ საფრანგეთმა წინადადება შეიტანა პოლიტიკური ქვე კომისიის სხდომაზე, რათა კონფერენციაზე დაშვებული იქნას დამოუკიდებელი საქართველო. ამაზე ჩიჩერინმა მისცა განმარტება, რომ საბჭოთა რუსეთი მთელი მისი ახლანდელი შემადგენლობით, რომელშიაც შედის საქართველოც, მოწვეულია გენუაში და ამით წინადადება უკვე მიღებულია. თუ რომ კიდევ ნათქვამი იქნება სიტყვა „საქართველო" ის მყისვე დასტოვებს სხდომის დარბაზს. ამის შემდეგ წინადადება უარყოფილ იქნა.

(მოსკოვის „იზვესტია" № 84).

რუსეთის ცნობის გარშემო. რუსეთის დელეგაციის პასუხი.

ბორდო, 22 აპრილი. რუსეთის დელეგაციამ მისცა პასუხი მოკავშირეთ ანტანტის მიერ წამოყენებულ პირობების შესახებ. ამ პირობებს რუსეთის დელეგაცია იღებს ერთგვარი შესწორებით, რომელიც გულისხმობს ომის დროინდელ ვალების და პროცენტების შემცირებას და რუსეთისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენას. დასასრულ რუსეთის დელეგაცია მოითხოვს გამოქვეყნებულ იქნას საბჭოთა მთავრობის ცნობა, რომელიც ვალად იღებს სახელმწიფოს კუთვნილებათ გამოცხადებულ ქონების დაბრუნებას და მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას.

გენუა. 22 აპრილი. ჩიჩერინმა რუსეთის დელეგაციის სახელით გადასცა ბრიტანეთის პრემიერს ლლოიდ ჯორჯს ნოტა, რომელიც შეიცავს რუსეთის პასუხს მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ პირობებზე. საპასუხო ნოტაში რუსეთის დელეგაცია გამოსთქვამს სურვილს წავიდეს ზოგიერთ დათმობაზე შეთანხმების და ზავის ჩამოსაგდებად. რუსეთის დელეგაცია აცხადებს, რომ იგი მზად არის მიიღოს მე 2 და მე-3 მუხლები 15 აპრილის ოქმზე მიკერებულ დოკუმენტისა, რომელიც ეხება ვალებს, პროცენტებს, ვადა გასული გადახდების ანაზღაურებას და რუსეთისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენას. რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზად არის დაუბრუნოს მეპატრონეთ ჩამორთმეული და სახელმწიფოს კუთვნილებათ გამოცხადებული ქონებით სარგებლობის უფლება. თუ ეს ტეხნიკურად შეუძლებელი იქნება, მაშინ რუსეთის მთავრობა დააკმაყოფილებს ამ ყოფილ მეპატრონეთა მოთხოვნილებას. შემდეგ რუსეთის დელეგაცია აშკარად აგრძნობინებს თავის პასუხში მოკავშირეთ, რომ იგი არ მიიღებს თავის თავზე არავითარ ვალდებულებათ იმ ვალების შესახებ, რომელიც წინანდელმა მთავრობებმა აიღეს, სანამ იგი ოფიციალურად არ იქნება ცნობილი დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ.

რომი, 22 აპრილი. გაზეთ „მესაჯერო"-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ რუსეთის დელეგაციამ მიიღო მოკავშირეთა მიერ წამოყენებული პირობები და გამოითხოვა დიდი კრედიტები.

ბარტუს აზრი.

რომი. 22 აპრ. ბარტუ, ეხება რა რუსეთის დელეგაციის მოთხოვნილებას ოფიციალურად ცნობის შესახებ, აცხადებს: ვალების გადახდისა და რუსეთის ცნობის საკითხები—სრულებით სხვა და სხვა და ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი საკითხებია, ამიტომ ისინი გარჩეულ უნდა იქნენ ერთი მეორისაგან დამოუკიდებლივ. ამის შესახებ რუსეთის დელეგაციამ უპასუხა, რომ რუსეთის საკითხი ნაწილობრივად კი არ უნდა იქნეს განხილული, არამედ ერთად და მთლიანად.

* * *

რუსეთი

ეკლესიის განძეულობა დამშეულთ.

მოსკოვი, 23 აპრ. ლოზუნგი: ეკლესიებში შეკრებილ თვითეული ფუთი ვერცხლით შეიძლება შევიყიდოთ დამშეულთათვის ათასი ფუთი პური. ათასი ფუთი პურს შეუძლია იხსნას სიმშილობის სიკვდილისაგან ვოლგის მხრის გლეხობა.

— მოსკოვში გრძელდება საეკლესიო ქონების ჩამორთმევა. 20 აპრილს ქალაქის რაიონში მორწმუნეთა დახმარებით შეკრებილ იქნა 20 ფუთი ვერცხლი, ოქრო, ძვირფასი თვალი და სხვა. ჩამორთმევას დაესწრო ეპისკოპოზი ანტონი და ამერიკელი და ევროპიელი ჟურნალისტები. სოკოლნიკის რაიონში 20 აპრილისათვის ჩამორთმეულ იქნა 19 ფუთზე მეტი ვერცხლი.

— ტამბოვის გუბერნიის სპასკის მაზრის რაიონის სოფლებში გლეხობა თავის ნებით იძლევა ეკლესიის განძეულობას.

— რიაზანის არქიეპისკოპოზი ბენიამინი თავის მესამე მოწოდებაში, მოუწოდებს მორწმუნეთ შესწირონ დამშეულებს საეკლესიო განძეულობა.

— სმოლენსკიდან იუწყებიან: რადგანაც სინაგოგებში ქონების ჩამორთმევის დროს მცირე განძეულობა აღმოჩნდა, ამიტომ მორწმუნე ებრაელთა შორის სწარმოებს შემოწირულებათა მოგროვება. შეკრებილ იქნა დაახლოვებით 22 გირვანქა ოქროული, სმოლენსკის მაზრის გლეხობა მოითხოვს საეკლესიო ქონების ჩამორთმევის დაჩქარებას.

— ბრიანსკის მაზრის სვირსკის მონასტერში ჩამორთმეული იქნა 15 ფუთზე მეტი ვერცხლი, 500-მდე მარგალიტი და 300-მდე სხვა ძვირფასი თვალი. ჩამორთმევას მორწმუნენი სრული თანაგრძნობით შეხვდენ.

— ჩებოკსარაში მორწმუნეთა სრული თანგრძნობით და დახმარებით 13 ეკლესიაში ჩამორთმეულ იქნა 18 ფუთ ვერცხლზე მეტი.

— რიაზანის ეკლესიებში ჩამორთმეულ იქნა 26 ფუთამდე ვერცხლი. ჩამორთმევა გრძელდება.

— უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის სესია შეუდგა ქალაქ შუაში საეკლესიო ქონების ჩამორთმევის დროს მომხდარ ამბების გარჩევას.

მცხოვრებლები ძლიერ დაინტერესებულნი არიან ამ პროცესით. ბრალდებულთა ადგილზე 22 კაცი ზის, მათ შორის 4 მღვდელი, ეკლესიის ქონებათა გამგე, რამოდენიმე ყოფილი ფაბრიკანტი, ძეძუენე და ერთი სოციალისტ რევოლიუციონერი.

ახალი ამბები

— **ადვოკატურა.** იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებული კანონმდებლობითი განყოფილება იმუშავებს დეკრეტს ადვოკატურის შესახებ.

— **სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების აღწერა.** ქალაქის სტატისტიკურმა ბიურომ დაამთავრა ტფილისში არსებულ სავაჭრო-სამრეწველო დაწესე

ბულებების აღწერა. აღწერილია სულ 10 613 დაწესებულება.

— **პროკურატურა.** იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულმა კანონმდებლობის განყოფილებამ იუსტიციის სახალხო კომისარს წარუდგინა პროექტი რესპუბლიკაში პროკურატორის შესახებ, რომელიც მიღებული იყო სრულიად რუსეთის იუსტიციის მოღვაწეთა ყრილობაზე მოსკოვში მიმდინარე წლის იანვრის გასულ რიცხვებში.

— **მუშათა სახლი მცხეთაში.** ზურაბოვის და ბაგაჯანოვის სახლების შეკეთება მცხეთაში, მუშათა დასასვენებელ სახლის დასაარსებლად, ინტენსიურად სწარმოებს. სახლის მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სატყეო კომიტეტმა თავს იდვა ამ სახლისთვის საჭირო მეუჯრულობის მიწოდება. შრომის თავდაცვის განყოფილება ფიქრობს ამ სახლის გახსნას 1 მაისისთვის. დასასვენებელი სახლი განზრახულია 70 კაცისთვის. მუშაობა სწარმოებს ტექნიკურ ინსპექტორის ა. მანევსკის ხელმძღვანელობით.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო სოფრომ გლახაშვილის საყმაწვილო მოთხრობები. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 20,000 მან.

— **დაკარგულია** სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-მეტყევეობის ფაკულტეტისგან მოცემული პირადობის მოწმობა № 21 ლეონიდე ხუშულავას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **ბათომის ნავთსადგურში.** 14—18 აპრილს ჩამოვიდა რუსეთის გემი „პესტელი", „დიმიტრი" და იტალიის „დალმაცია", „ეგეო" და „ადრიატიკო" და თან ჩამოიტანეს 72.000 ფუთი ქერი და სიმინდი, 4552 ტონი ტვირთი და 1,116 მგზავრი ჩამოიყვანეს; 21 აპრილს ჩამოვიდა სპარსეთის გემი „თავრიზი" 450 ტონი ტვირთით და 8 იალქნიანი გემები, ჩამოიტანეს 3747 ფუთი მატყლი. ნავთსადგურიდან გავიდნენ „სურია", „კოსოვო", „პერსია", „ფელიქს დზერჟინსკი" 6000 ფუთი ცემენტი წაიღო და 401 მგზავრი წაიყვანა.

საქარ. სახალ. კომისართა საბჭ. საინფ. განყოფილების ბიულეტენი

მდგომარეობა სიღნაღის მაზრაში

აღმასკომი. მაზრაში საბჭოთა არჩევნები დამთავრებულია. სამაზრო ყრილობის მიერ არჩეულია სამაზრო აღმასკომი თხუთმეტი კაცისაგან შემდგარი, რომლიდანაც დროებით გამოყოფილია პრეზიდიუმი. სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. თათეიშვილი, სამაზრო და თემების აღმასკომებში შტატები შემცირებულია მინიმუმამდე, თანახმად ცენტრის მიერ შემუშავებულ გეგმისა. თემთა აღმასკომებში დატოვებულია სულ სამი კაცი: აღმასკომის თავმჯდომარე, მმაჩის გამგე და მდივანი. ეს გარემოება ძლიერ აფერხებს აღმასკომების პრაქტიკულ მუშაობას, ამისთვის სამაზრო აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს გაადიდოს თემთა აღმასკომების შტატი 5-მდე. სამაზრო აღმასკომების დადგენილებით შედგენილია კომისია, რომელსაც ევალება თემთა აღმასკომების ორგანიზაციულად ჩამოყალიბება და მათთან მჭიდრო კონტაქტის დაჭერა.

მილიცია. თანახმად სამაზრო აღმასკომის დადგენილებისა, სამაზრო და სათემო მილიციის უმოქმედობის გამო თანდათანობით იცვლებიან მილიციის ყველა პასუხისმგებელი თანამდებობის პირები და შეძლებისდაგვარად მათ ნაცვლად ინიშნებიან პარტიული ამხანაგები.

მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა. მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აღძრულია შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, რათა იგი ყოველ მხრივ დაეხმაროს პროვინციის მუშა მოსამსახურეთ აუტანელ პირობების გასაუმჯობესებლად.

ტელეფონის ქსელი. მიღებულია ზომები, რათა აღდგენილ იქნას ტელეფონის კავშირი თემთა აღმასკომების და სამაზრო ცენტრის შორის ერთის მხრით და სამაზრო აღმასკომის და საქართველოს ცენტრის შორის მეორე მხრივ. ამ მხრივ უკვე სწარმოებს მუშაობა. საჭირო მასალა მოთხოვნილია ცენტრიდან.

შემოსავალი ბაზრობიდან შემოსავალი სოფლის ბაზრობიდან დღემდე იკრიბებოდა, აღმასკომი მოკლებული იყო საშუალებას რაიმე კონტროლი გაეწია ამ შემოსავლისათვის. ამიერიდან მთელი შემოსავალი ბაზრობიდან იკრიბება სამაზრო ეკონომიური განყოფილების აგენტების მიერ და შედის საერთო სალაროში.

ბანდიტიზმი ამ ბოლო დროს მაზრაში იჩინა თავი ბანდიტიზმმა. მასთან საბრძოლველად სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოყოფილია სამეული, რომელსაც დავალებული აქვს მფრინავი ცხენოსანი რაზმის შედგენა. გარდა ამისა მიღებულია სხვა რადიკალური ზომები ბანდიტიზმის აღმოსაფხვრელად.

ეკონომიური დარგი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპების პრაქტიკულად განსახორციელებლად არჩეულია სამაზრო ეკონომიური საბჭო აღმასკომის შემოსავალი წყაროთ მიღებული: კომუნალური შემოსავალი, ადგილობრივი გადასახადები და ჯარიმები. ვინაიდან ცენტრი მაზრას არავითარ ფინანსიურ დახმარებას აღარ უწევს და, როგორც ჩანს, ვერც მომავალში გაუწევს, ამიტომ აღმასკომმა დაადგინა: გააწეროს მაზრას 2 მილიარდი მანეთი, რაზედაც აღძრა შუამდგომლობა ცენტრის წინაშე.

განათლების საქმე. სწავლა ყველა სასწავლებლებში არა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს, მიზეზი ნივთიერი უსახსრობაა. მაზრის მასწავლებლებს 3 თვის განმავლობაში ჯამაგირი არ მიუღიათ. მათი მდგომარეობა მეტად აუტანელია. ამის გამო არჩეულია განსაკუთრებული სამეული, რომელსაც დავალებული აქვს გააწეროს მაზრას სამი მილიონი მანეთი სკოლების საჭიროებისათვის. სამეული უკვე შეუდგა მუშაობას.

თესვის საქმე მიღებულია ყოველივე ზომები, რათა შემოდგომაზე, სათესი მასალის უქონლობის გამო დარჩენილი მიწები, გაზაფხულზე იქნას დათესილი.

გზების შეკეთება. სიღნაღის მაზრას გზა-ტკეცილები საშინელ მდგომარეობაშია. სიმძიმეა მოგზაურობა არამც თუ დიდ მანძილზე, არამედ სოფლიდან სოფელშიაც კი. სამაზრო აღმასკომი მოკლებულია საშუალებას თვით შეაკეთოს გზები ამისთვის გადაწყვეტილია გამოწვეულ იქნან მცხოვრებლები იძულებითი შეგარის სახით ერთი კვირის განმავლობაში გზების შესაკეთებლად.

სახალხო ჯანმრთელობა. შტატების შემცირების შემდეგ გაუქმდა ყველა სასწავლებლებთან არსებული სასკოლო ექიმების თანამდებობა, რის ნაცვლად მთელს მაზრას დაენიშნა ერთი სასკოლო ექიმი, რამოდენიმე ფერშლო პუნქტი და გადაკეთდა საექიმო პუნქტად. გაიხსნა ორი ახალი აფთიაქი. ზამთრის განმავლობაში მაზრაში მძვინვარებდა პარტახტიანი სახადი, რომლის წინაღმდეგ მიმართული იყო მთელი ენერგია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 2

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი; აღნიშნული ოლქის ცენტრად იქნეს ქ. ცხინვალი.

2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში მოთავსდეს ტერიტორია, რომელიც უჭირავს სამხრეთ-ოსეთის ხალხს შემდეგ საზღვრებში:

ა) ჩრდილოეთით საზღვარი ხაზი გაივლის კავკასიონის მთავარ ქედზე მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ საზღვრის გასწვრივ.

ბ) დასავლეთით—საზღვარი ხაზი იწყება მთიელთა სოც. საბჭ. ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებიდან მდინარე ჩანჩახის სათავესა და მის შენაკადებთან. გადასჭრის სიმაღლეს 8.872, მიემართება წიფლოვის ქედის გასწვრივ, გადასჭრის მდინარე ჩანჩახს, შენაკადი გეს-კეს შესართავში გაგრძელდება სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით გეს-კეს მთის კალთებზე ამა მდინარის დასავლეთით; გადასჭრის გეს-კეს მთას, ძვარის მთას, სიმაღლეს 6.062, მდინარე ლარულას სოფ. ჟამლა-ქვაკას ქვევით; მდინარე ქვედრულას, სოფ. ქვედის აღმოსავლეთით; დაეშვება ველუანტის მთის კალთებზე, გადასჭრის სიმაღლეს 7.616; გადასჭრის კუდევის მთას, 2.982 სიმაღლის ცოტა დასავლეთით; გაგრძელდება აღმოსავლეთ-სამხრეთის მიმართულებით, 6,013 სიმაღლის ძირის გასწვრივ; გადასჭრის მდინარე ყვირილის მარჯვენა შენაკადს სოფელ პერევისის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაივლის სოფ. პერევის აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ყვირილას 2.170 სიმაღლეს აღმოსავლეთით, მიებჯინება პერანგის მთას 5 201 სიმაღლეზე: მიემართება სამხრეთით ამა მთის კალთებზე ძირულის მთის დასავლეთით; გადასჭრის უკანასკნელს და გაივლის კაპრების სერის ქედს, 4.172 სიმაღლემდე გაგრძელდება მდინარე ჭერათ ხევის ზემო მიმდინარეობით და შემდეგ კაპრების სერის ქედის კალთების იქით, მდინარე ლოპანის დასავლეთით.

გ) სამხრეთით: საზღვარი ხაზი გაგრძელდება ჭორჭან-წნელისის გზით, გადაჭრის მდინარე ლოხანს, წნელისის ქვევით, მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გადაჭრის მდინარე ფრონეს სოფ. ოქონის ქვევით, მიიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადაჭრის მდ. ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ გადასჭრის მდინარე ფრონეს (ყორნისა) სოფ. დვანის ზევით; გაივლის დვანი-ბოჯანაურის გზის პარალელურ და ჩრდილო-დასავლეთის მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ ლიახვს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ. ერედვს; გადასჭრის მდინარე პატარა ლიახვს, სოფ. არბის ზევით, მდინარე ჭრონულას, სოფ. მერეთისა და კოშკას ზევით; მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთხევას სოფ. [illegible] და მდინ. ეძურას [illegible] მიჯნის [illegible]; გაგრძელდება სოფ. [illegible] ჩრდილო-აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ტირტლას სოფ. წინაკარის ქვევით, მდინარე ლეხურის მარჯვენა შენაკადს სოფ. სურვალეთის ზევით, შემოუვლის სოფლებს ჯავუფს: ორჭოსანს, აბრევსა და სხვ, გადასჭრის მდინარე ლეხურს სოფ. საკორინთლოსა და ოძისის ჩრდილოეთით; გადასჭრის მდინარე ქსანს სოფ. ოძისის ზევით და მიებჯინება ივნიანის ქედის მთას.

დ) აღმოსავლეთით. საზღვარი ხაზი ივნიანის ქედის მთიდან მოუხვევს ჩრდილოეთით და გადასჭრის ხნარევსა, გაივლის სოფ. მიქელიანთ-კარის, ირმის სოფლის და სხვა სოფლების ხაზის დასავლეთით; შემოუვლის ჩრდილოეთით 6.409 სიმაღლეს შუა კალთებს, გადასჭრის უკანასკნელს ეკლესიის ნანგრევებ ცოტა აღმოსავლეთით; შემდეგ გაგრძელდება ჩრდილოეთისაკენ ქედით მდ ალევის მიმდინარეობის გასწვრივ ამ მდინარის აღმოსავლეთით: გადასჭრის ჭერტილას მთას 8 283 სიმაღლეზე, საფერშეთის და ტახტის მთებს გაგრძელდება მდინარე არაგვ-სა და ქსნ-ს შენაკადების შუა წყალთა გამყოფი ქედის ხაზით; გადასჭრის სიმაღლეებს: ყურ ყუტსა, მუნჯუხსა და ლომისის ეკლ ტეხილს მონასტრის ნანგრევებთან მიემართება ჯამურის ულეტეხილამდე; გადასჭრის მდ. არაგვ-ს მარჯვენა შენაკადებს—განისის, ერეთისა და სხვ სოფლების დასავლეთით; გაგრძელდება ჩრდილო-დასავლეთით მდ. არაგვის ზემო მიმდინარეობით; მოუხვევს დასავლეთით გადასჭრის ლაზტ წითის მთ ს და მიემართება წყალთა-გამყოფი ქედის ხაზით მდინარე თერგისა და დიდი ლიახვის შენაკადების შუა, გადასჭრის 12 117, 11.333 და 12.572 სიმაღლეებს და მ ჯინება ვალქ-პარსის მთას.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი მმართველი ორგანოებია ცენტრალური აღმ სრულებელი კომიტეტი და ადგი ლობრივი საბჭოები.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საქმეთა მმართველობისათვის დაარსდება სახალხო კომისარიატები: ა შინაგან საქმეთა, ბ) იუსტიციისა, გ) განათლებისა, დ) ჯანმრთელობისა, ე შრომისა და სოც. უზრუნველყოფისა, ვ მიწათმოქმედებისა, თ) სასურსათო, ზ ფინანსთა, ი) სახალხო მეურნეობის საბჭო და კ) მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

შენიშვნ: 1—სამხრეთ ოსეთის განსა კუთრებული სახალხო კომ

ანტანტა, გერმანია და საბჭოთა რუსეთი

2

საერთაშორისო ომმა და ვერსალის საზავო პირობებმა, რომელიც თავზე მოახვია გამარჯვებულმა მოკავშირეებმა გერმანიის ახალ მთავრობას, საშინლად დასცა გერმანიის ეკონომიური ცხოვრება და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. საკონტრიბუციო გადასახადებისა და საერთო ეკონომიური კრიზისების გამო გერმანიის მეურნეობა დაიშალა, შეირყა მისი სიძლიერე და დაეცა საწარმოო ძალთა განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მეურნეობა ირღვეოდა და კრიზისებით იყო მოცული, მოკავშირეთა საკონტრიბუციო გადასახადები დღითი-დღე იზრდებოდა და მძიმე ტვირთად აწვებოდა გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებას. ვერსალის პირობებით გამოწვეულმა დავალიანებამ შექმნა სწორედ გამოუვალი მდგომარეობა.

ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი გადაუხადა გერმანიის მთავრობამ ანტანტას 1921 წ. დეკემბრის დამლევამდე. ეს თანხა შეადგენს სულ 6.847.856.000 მარკას ოქროთი. თუ ამ თანხას ჩვენ გადავიტანთ ქაღალდის მარკებზე დაახლოვებითი კურსის მიხედვით (75 მარკა ერთ ოქროს მარკაზე) მივიღებთ 513.6 მილიარდს. (იხ. „Екон. Жизнь" № 79) გარდა ამისა მიმდინარე წლის განმავლობაში გერმანიამ კიდევ გადაიხადა 282 მილიონი მარკა ოქროთი.

ეს ციფრები ნათლად ყოფენ იმას, თუ რამდენად უნდა დაზიანებულიყო გერმანიის ეკონომიურ-ფინანსიური ცხოვრება. მაგრამ გერმანეთის დავალიანება და ზარალი მარტო ამით არ ამოიწურება.

ვერსალის საზავო პირობებმა ყოველ მხრივ გამანადგურებელი მახვილი ჩასცა გერმანიის მეურნეობას. თანახმად ამ პირობებისა—კოლონიებს გარდა, რომელიც ჩამოართვეს გერმანიას,—გერმანეთმა დაჰკარგა 18-პროც. მთელი თავისი ტერიტორიისა 13 პროც. მოსახლეობა. ამ ტერიტორიაზე 1913 წელს მოყავდათ 17.4—პროც. ხორბალი, 22—პროც.—ქერი, 15,9-პროც.—შვრია, 23—პროც.—კარტოფილი და 18.4 პროც.—ჭვავი.

1912 წლის აღწერის მიხედვით, ამ ტერიტორიის სივრცეზე ირიცხებოდა მთელს გერმანიაში მოშენებულ ცხენების 23 პროც. 17,3-პროც.—რქიანი ცხოველებისა, 16-პროც.—ცხვარი და 17,7 პროც. ღორებისა.

ამ ვე ტერიტორიაზე აწარმოებენ ქვანახშირის 35 პროც. და თუჯის 1/8 ს. აქვე იყო 50 პროც. რკინეულობის მკეთებელი და 40 პროც. ფოლადის ჩამომხმელი ქარხნებისა. ხელშეკრულების მიხედვით, მხედველობაში, რომ არ მივიღოთ 5 ათასი ორთქლმავალი, რომელიც გადაეცა ანტანტას, გერმანიამ დაჰკარგა ცხრა მეათედი თავისი სავაჭრო ფლოტის, დიდი უმეტესი ნაწილი მათი დოკებისა და ვერფების მოწყობილობანი; გარდა ამისა მან განსაზღვრული ნაწილი დროის განმავლობაში უნდა ააშენოს გემები მოკავშირეთათვის, მიაწოდოს ქვანახშირი და სხვ., (იხ. А. Финн Енотаевскiй: „Современное положение мирового хозяйства" გვ. 52).

ეს მშრალი სტატისტიკური ციფრები უსიტყვოდ ლაპარაკობენ გერმანიისადმი ვერსალის პირობებით მიყენებულ ეკონომიური ზარალის სიდიდის შესახებ. ჩვენ უნდა დავუმატოთ ამას ის საკონტრიბუციო გადასახადი, რომლის ნაწილი უკვე გადაიხადა გერმანიამ და რომელიც დაახლოვებით 120 მილიარდ მარკას შეადგენს ოქროთი. გერმანიის მთელი ქონება კი, გელფერიხის დაახლოვებითი გამოანგარიშებით შეადგენს 330—335 მილიარდს.

ამ ციფრების დაპირისპირება ნათლად ყოფს იმას, თუ რამდენად აზიანებს და ხლეჩს ვერსალის მარტო საკონტრიბუციო გადასახადი გერმანიის მთელს მეურნეობას.

გერმანიის ფლოტის გადაცემამ ძლიერ შეაფერხა მიმოსვლასა და ვაჭრობის საშუალება. გერმანიის ფლოტი დაეცა ნორმალურ მდგომარეობის 5—7 პროც. და საერთაშორისო საზღვაო მიმოსვლის საქმეში ვეღარ თამაშობს იმ როლს, რომელიც ეჭირა ომამდე.

მაგრამ ყველაზე უფრო შეუფერხდა გერმანიის მძიმე ინდუსტრიის მდგომარეობა. ქვანახშირის წარმოება შემცირდა 45 პროც. 1919 წ. 1913 წელთან შედარებით. შემდეგ წლებში ქვანახშირის წარმოებამ აიწია. თუჯის წარმოება იმავე წელში დაეცა ერთი მესამედით; 1913 წელს იძლეოდა 10,3 მილ. ტონს 1919 წ. 6, 5 მილ. ე. ი. დაეცა 66 პროც. ფოლადის წარმოება დაეცა ასეთივე პროპორციით; 1913 წელს ფოლადის წარმოება იძლეოდა გერმანიაში—18 9 მილ. ტონს; 1919 წ. მხოლოდ 6, 8 მილ. ე. ი. შემცირდა 64 პროც.

ყველაზე უფრო ტრაგიკულს მდგომარეობაში ჩავარდა გერმანიის ქვანახშირის წარმოება, რომელიც გამოიწვია ერთის მხრით ვერსალის პირობებმა და მეორეს მხრით, ომის მიერ შექმნილმა საერთო მდგომარეობამ.

საერთაშორისო ომმა ძლიერ შეამცირა მთელს ევროპაში ქვანახშირის წარმოება—ომამდე კონტინენტალური ევროპა თითქმის თავისი რესურსებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს ამ დარგში. ომის შემდეგ მდგომარეობა საკმაოდ შეიცვალა ქვანახშირის წარმოებაში და კრიზისი ყველასათვის თვალსაჩინო გახდა. გერმანიაში ქვანახშირის წარმოება დაეცა 45 პროც. 1919 წ; საფრანგეთში კი განახევრდა, ჩრდილოეთ საფრანგეთის ქვა ნახშირის მაღაროები იმდენად დანგრეული და დაზიანებულია საერთაშორისო ომის წყალობით, რომ მისი სავსებით აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ 1930 წლისათვის. ომამდე საფრანგეთი ხარჯავდა წლიურად 60 მილ. ტონს ქვანახშირს, აქედან 40 მილიონ საკუთარ წარმოებიდან, 20 მილიონი შემოჰქონდა გერმანიიდან და ინგლისიდან. დღეს საკუთარი წარმოება დავიდა ნახევრამდი და მისთვის აუცილებელი შეიქმნა 40 მილიონი ტონის დანაკლისი გერმანიის ხარჯზე აენაზღაურებინა.

ქვანახშირის საკითხს თანამედროვე მძიმე ინდუსტრიის წარმოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი მასალის შოვნა და მით უზრუნველყოფა ნაციონალურიალური მრეწველობისა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკისათვის. თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალიზმისა და მძიმე ინდუსტრიის უმაღლესად განვითარების პერიოდში ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის თავისთავად ნაციონალურ მრეწველობის საჭირო მასალებით უზრუნველყოფისათვის დიდსა და გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ამ მხრივ საინტერესო იყო იმპერიალისტური პოლიტიკის დასახასიათებლად ბრძოლა გერმანიისა და საფრანგეთის კაპიტალისტური მაგნატებისა რურისა და საარის მაღაროებისა და ლოტარინგიის სამრეწველო რაიონებისათვის. საერთაშორისო ომმა ეს ბრძოლა საფრანგეთის სასარგებლოდ გადასწყვიტა და გერმანიის დიდ მნიშვნელოვანი ქვანახშირის ცენტრები ჩამოაცალეს.

მაგრამ იმავე ომმა საშინლად დასცა და გაანადგურა მთელი საფრანგეთის ქვანახშირის მრეწველობა და თითქმის მთელს მსოფლიოში ამ საწვავი მასალის კრიზისი შექმნა.

ქვანახშირის წარმოება შემდეგს სურათს იძლევა 1919 წ. ექვს სახელმწიფოში:

წლები	ინგლისი	ამერიკა	საფრანგეთი	გერმანია	ჩეხო სლოვაკია	ბელგია	სულ
			(მილიონი ტონი)				
1913	287	511	41	191	14,3	22,5	1089,8
1919	229	458	21,5	108	10,0	18,5	846,0
დაკლდათ	58	53	19,5	83	4,3	4,0	224,0

ამ გვარად ამ ექვსს სახელმწიფოში ქვანახშირის წარმოება დაეცა 1919 წ. 21 პროცენტით. შემდეგი წლის ცნობები გვ ჩვენებენ წარმოების წინ წაწ ვას ამ დარგში, მაგრამ მთლიად ქვ ნახშირის მრეწველობა ვერ აღწევ მაინც ომამდე არსებულ დონეს და ვე აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვ ნილებას.

გერმანიაში 1920 წელში ქვანახშირის წარმოებამ მიაღწია 131,3 მილიონ ტ ნამდე, რაც შეადგენს ნორმალურ მდგ მარეობის 68 პროცენტს და რაც ს სებით ვერ აკმაყოფილებდა გერმანი საერთო მოთხოვნილებას.

მაგრამ გერმანიის სამეურნეო ცხოვ რების კრიზისი მარტო ამითი არ და თავრებულა. როგორც დავინახეთ მთელ კონტინენტალურს ევროპაში ქვანახ რის ძლიერ დიდი სიმცირე არის და მხრივ საფრანგეთის მდგომარეობა კრ ტიკული არის. მისი წარმოება განახევ და ომის წყალობით და საერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლ ქვანახშირისა ომამდე არსებულ პირ ბების მიხედვით საჭირო იყო კი 40 მილიონი ტონი. საფრანგეთმა ისა გებლა თავისი გამარჯვებული მდგომ რეობით და პოლიტიკური ძალა იხმა ქვანახშირის დანაკლისის შესაძენად. მხრივ მისი ექსპლოატაციის ობიექ შეიქმნა დამარცხებული გერმანია. ხან საფრანგეთმა აიძულა გერმანია ყოვე თვიურად მისთვის გადაეცა 2 მილიონ ტონი ქვანახშირი უკომპენსაციოდ. გრამ, თუ საფრანგეთის სამეურნეო ცხ ვრება უკეთესდება ძალით წართმე გერმანეთის ქვანახშირით, სამაგიერ გერმანიის მრეწველობა და მთელი ურნეობა უმძიმესს კრიზისში ვარდე ამ კომბინაციების მიხედვით გერმან განკარგულებაში რჩებოდა 1920 წ

სართა საბჭო არ დაარსდება და სახალხო კომისარიატები მოქმედებენ, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი.

შენიშვნა: 2:—გარეშე საქმენი და საგარეო ვაჭრობა რჩება საქ. სოც. საბ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში.

სამხედრო საქმეს განაგებს სამხედრო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სამხედრო და საზღვაო კომისარიატს და მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა რჩება საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოთა გამგებლობაში, რომელიც მოწყობილი იქნება უკანასკნელის სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

5. რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე დაცულ იქნეს და მოეწყოს ერთიანი საფინანსო და სამეურნეო მოქმედება, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: სასურსათო, ფინანსთა, შრომისა, სახალხო მეურნეობის საბჭოს და მუშათა და გლეხთა ინსპექცია დარჩებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ქვემდებარეობაში; ამასთანავე უკანასკნელთა ყოველი განკარგულება და ღონისძიება განხორციელებულ უნდა იქნეს სამხრეთ ოსეთის სახალხო კომისარიატების მიერ, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

შენიშვნა: მეხუთე მუხლში დასახელებული სახალხო კომისრები დანიშნულ იქნებიან საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების მიერ, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით და დამტკიცებულ იქნებიან უკანასკნელის მიერ.

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, მიწათმოქმედებისა და სოციალურ უზრუნველყოფისა ავტონომიური არიან თავის მოქმედებაში და პასუხისმგებელნი საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების წინაშე, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით.

7. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი ყველა საერთო საფინანსო და ტექნიკური საშუალებებით მომარაგებულ იქნება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო სახსრიდან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს უშუალო განკარგულებისამებრ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

8. ამ ადმინისტრატიული ერთეულების ფაქტიურ გადაცემას, რომლებიც მიეთვისება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აწარმოებს შერეული კომისია, შემდგარი სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთაგან.

აღნიშნულ კომისიას დაევალება თავისი მუშაობა დაამთავროს არა უგვიანეს ამა 1922 წ. მაისის 1-სა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე**

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილი 20.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 9.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხ კომისართა საბჭო, სცნობს რა დროს შესაფერისად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივლისის 26 თარიღითა და 58 №-რით გამოცემული დეკრეტის ძალით შეჩერებული ვადის მიმდინარეობის აღდგენის იმ საქმეებისათვის, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა სასამართლოს გაუქმებული დაწესებულებებში, ადგენს:

1. ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან მიეცეს ორი თვის ვადა ყველა დაინტერესებულ პირსა და დაწესებულებას შეიტანოს კერძო, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი და პასუხი სასამართლოს გაუქმებულ დაწესებულებათა მიერ გამოტანილ დადგენილებასა, გადაწყვეტილებასა და განაჩენზე იმ სისხლის სამართლის საქმისა და სამოქალაქო საქმის გამო, რომლის ვადის მიმდინარეობაც შეჩერებულ იქნა საქართველოს სოც: საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის № 58 დეკრეტით.

2. წინა მუხლში აღნიშნული საჩივარი და პასუხი შეტანილ უნდა იქნეს: იმ საქმეების გამო, რომელიც წარმოებაში იყო ყოფილ ტფილისის ოლქის სასამართლოსა, სასამართლო პალატასა, ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებსა და სენატში,—იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებაში; ხოლო იმ საქმის გამო, რომელიც წარმოებაში იყო ყოფილ მომრიგებელ მოსამართლეებთან და რესპუბლიკის დანარჩენ ადგილების მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებსა და ოლქის სასამართლოებში—იუსტიციის ადგილობრივ განყოფილებაში.

3. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობმა განყოფილებამ, ან იუსტიციის ადგილობრივმა განყოფილებამ მეორე მუხლში აღნიშნული საჩივარი თუ პასუხი, მიღებისათანავე, საქმის დედანთან ერთად, უნდა გაუგზავნოს სახალხო სასამართლოს ან სახალხო მოსამართლეთა საბჭოს კუთვნილებისამებრ, თანახმად აწ მომქმედ წესებისა ადგილობრივი ქვემდებარეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ბროდსკი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 15.

ტფილისი—სასახლე.

ნაცვლად 131,3 მილ. ტონისა მხოლოდ 107 3 მილიონი, ე. ი. 56 პროც. ომამდელი დროისა.

მაგრამ გერმანიის ძლევის პროცესი მარტო ამით არ თავდება. ეკონომიურის მხრით საფრანგეთმა გერმანიის კულტურული ხალხი ჩამორჩენილ ქვეყნების კოლონიალურ ურთიერთობამდე დაიყვანა და დღეს თითქმის იმ მეთოდებსა და საშუალებებს მიმართავს გერმანიისადმი, რომელიც მას არა ერთხელ განმეორებია თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოების დროს აფრიკაში, აზიაში და ამერიკაში.

გერმანიისათვის შეუძლებელი შეიქმნა ვერსალის პირობების სავსებით შესრულება. ამ გარემოებამ გამოიწვია საარისა და რურის მადაროების ოკუპაციის საკითხის დასმა. საარის მადაროები, რომელის ოკუპაცია გასულ წელში მოახდინეს, იძლეოდა 1913 წელს—12,2 მილ. ტონს, 1920 წ.—9 მილ. რაც შეეხება რურის მადაროებს, იგი ამ მხრივ უდიდესი სამრეწველო ცენტრი არის და დიდი დამოკიდებულება აქვს გერმანიის მთელს სამეურნეო ცხოვრებასთან. ეს მადაროები ომამდე იძლეოდა 114,5 მილ. ტონს, 1919 წელში მისი წარმოება უდრიდა 71,2 მილ.

როგორც ვიცით გასულ წელში აგრეთვე მწვავედ დაისვა ზემო სილეზიის საკითხიც. აქ გერმანიის კონკურენტად გამოვიდა პოლონეთი; მომხდარმა პლებისციტმა გერმანიის სასარგებლოდ გადასწყვიტა საკითხი; მაგრამ საკითხს ეს ვერ სწყვეტდა თავის თავად, რადგან აქ ერთი მეორეს ეჯახებოდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა ინტერესები და განსაკუთრებით იმპერიალისტური საფრანგეთი გამოდიოდა პოლონეთის გადაცემის მომხრეთ. ზემო სილეზია სამრეწველო ცენტრი არის და მისი ეკონომიური დოვლათი დიდათ იზიდავს კაპიტალისტურ მაგნატების წარბს თვალებს 1914 წლამდე ზემო სილეზიის მადაროებიდან ამოჰქონდათ ყოველწლიურად 44 მილიონ ტონამდე ნახშირი; 1920 წ. ამოიღეს 31,7 მილიონი. ქვანახშირის მხრით ამ რაიონში უდიდესი თადარიგია, რომელიც უდრის 170 მილიარდ ტონს, ე. ი. 40 პროც. მთელი გერმანიის სიმდიდრისას ამ დარგში. გარდა ამისა ზემო სილეზია აძლევდა გერმანეთს მთელი წარმოების 72 პროც. ცინკის და 25 პროც. ტყვიისას. ამ ცნობებიდან ნათელი ხდება, თუ რა დიდი ღირებულებით არის დაჯილდოვებული ზემო სილეზია და როგორი ინტერესიანი წინააღდეგობა აღიმართა ამ რაიონის გადაწყვეტის დროს სახელმწიფოებს შორის. ერთა ლიგის საპლებისციტო კომისიამ დაადგინა ზემო სილეზიის გაყოფა პოლონეთსა და გერმანეთს შორის.

დღეს ჩვენ ხელთ არ არის ცნობები გერმანიის საერთო—ქვანახშირის წარმოების შესახებ ამ უკანასკნელს მომხდარ ფაქტების შემდეგ. მაგრამ საკმარისია ზემოდ მოყვანილი ცნობებიც ზერელად გადავათვალიეროთ, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა დონემდ შევიწროვებული ამ მხრივ გერმანიის წარმოება.

ვერსალის საზავო პირობებმა და გამარჯვებულ ანტანტის გაუმაძღარმა პოლიტიკამ ყოველის მხრივ შეავიწროვა გერმანიის წარმოება და ტერიტორიების ჩამოთლით, ნატურისა და ფულის გადასახადების გადიდებით არ აძლევს მას თავისუფალი განვითარების საშუალებას.

გერმანეთის ხალხმა უდიდესი დანაკლისი და შევიწროება განიცადა საერთაშორისო ომის შედეგებით. მცხოვრებთა საერთო რიცხვი, რომელიც ომამდე 67,8 მილიონს უდრიდა, 1919 წ. შემცირდა 65 მილიონამდე. საერთო ანგარიშით გერმანიამ 1914—19 წლებში დაჰკარგა 5,5 მილიონი ადამიანი.

მრეწველობა და ინდუსტრია დაეცა. საუკეთესო სამრეწველო რაიონები ოკუპაციისა და კონტროლის ქვეშ მოყვა: რაც შეეხება სასოფლო მეურნეობას, აქაც თავისი შედეგები მოიტანა ომმა. მოსავლისა და სანოვაგის შემცირება, რამაც დიდი კრიზისის წინაშე დააყენა სასურსათო საქმეში გერმანია. მაგ. მთელს გერმანიაში ელზას-ლოტარინგიის გამოკლებით 1913 წ. მოდიოდა 4,8 მილიონი ტონი ხორბალი, 1919 წელს მხოლოდ 2,2 მილიონ; ქერი 1913 წელ —12.1 მილიონი, 1919 წელს (პოზენის დიდი ნაწილის და დას. პრუსიის გამოკლებით)—1. 9 მილ. შვრია 1913 წ.—9. 5 მილ. 1919 წ.—4. 4 მილ. კარტოფილი—1913 წ. — 52,9 მილ. 1919 წ.—21 4 მილიონი, ასეთივე შემცირება განიცადა ოთხფეხმა ცხოველების მოშენებამ საერთოდ.

გერმანიას თავისი სურსათი არასოდეს არ ჰყოფნიდა. მაგრამ თანამედროვე სასურსათო კრიზისმა სასტიკი ხასიათი მიიღო და იგი აღმოსავლეთ ევროპის აგრარულ სახელმწიფოების (უნგრეთი, სერბია, რუმინია) ზედმეტი მოგებისა და სპეკულიაციის ობიექტად გადაიქცა.

გერმანეთის ექსპლოატაციას დღეს ორის მხრით ეწევიან. დასავლეთით გამარჯვებული კაპიტალისტები და აღმოსავლეთით აგრარული რაიონები სურსათზე ზედმეტი გადასახადის დაწესებით.

დასავლეთის იმპერიალისტები თავიანთ ძალას ეყრდნობიან ამ შემთხვევაში და პოლიტიკური ძალდატანებით გამანადგურებელ პირობებს უქმნიან გერმანიის მრეწველობას.

გერმანიის მთელი ეკონომიური ცხოვრება კრიზის განიცდის, მაგრამ ეს კრიზისი ყველაზე უფრო იმ ეკონომიურ ძალდატანებას და ფინანსიურს დავალიანებაში გამოიჩანს, რომელიც შექმნა ანტანტამ ვერსალის პირობებით გერმანიისათვის.

სიმონ ხუნდაძე.

ქალ. ტფილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების ცნობები.

ვალიუტის რყევა ქალ. ტფილისში (ათას მანეთობით)

იანვარი-მარტი 1922 წ.

ვალიუტის დასახელება.	იანვარი.		
	მინ.	მაქ.	საშუალო.
სტერლინგი	1290	1500	1367,4
ფრანკი	26	30	27,6
ლირა იტალიური	12	18	16,3
ლირა ოსმალური	210	247	237,6
ოქრო 10 მანეთი	1470	1750	1635,6
„ ლირა	1270	1570	1378,7
დოლლარი	310	368	331,4
მარკა გერმანული	1,4	3,4	2,2
ნიკოლოზის 100 მან.	350	450	430,7
„ „ 500 „ „	110	280	166,9
კერენსკის	25	35	28,3
აზერბეიჯანის.	62 %	70%	65,8%

	თებერვალი.			მარტი.		
	მინ.	მაქ.	საშ.	მინ.	მაქ.	საშ.
სტერლინგი	900	4500	1569,8	870	950	913,0
ფრანკი	23	85	34,8	—	—	—
ლირა იტალიური	—	—	—	—	—	—
ლირა ოსმალური	185	670	273,3	170	185	178,1
ოქრო 10 მანეთი	1500	5500	1750,0	1000	10,000	1000,0
„ ლირა	—	—	—	835	835	835,0
დოლლარი	235	660	350,4	230	250	240,6
მარკა გერმანული	1,2	4,5	2.3	1,025	1,2	1,1
ნიკოლოზ. 100 მ.	—	—	—	—	—	—
„ „ 500 „	—	—	—	—	—	—
კერენსკის	—	—	—	—	—	—
აზერბეიჯანის	—	—	—	—	—	—

ვალიუტის კურსის რყევა % % 1921 წ. იანვართან.

შედარებით (1921 წლის იანვარში მიღებულია 100).

ვალიუტის დასახელება.	1921 წ. იანვარი	1922 წელი.		
		იანვარი	თებერვალი.	მარტი.
სტერლინგი	100	7639,1	8769,8	5100,6
ფრანკი	100	9200	11600	—
ლირა იტალიური	100	8150,0	—	—
„ ოსმალური	100	8193,1	3424,1	6141,4
ოქრო 10 მანეთი	100	8137,3	8684,9	4975,1
„ ლირა	100	7745,5	—	4691,0
დოლლარი	100	6763,2	7,146,9	4910,2
მარკა გერმანული	100	3142,8	3285,7	1571,4
ნიკოლ. 100 მან.	„	—	—	—
„ 500 „ „	—	—	—	—
კერენსკის	—	—	—	—
აზერბეიჯანის	—	—	—	—

ვალიუტის კურსის რყევა % % 1922 წ. იანვართან.

შედარებით (იანვარი 1922 წ. მიღებულია 100).

ვალიუტის დასახელება.	იანვარი	თებერვ.	მარტი.
სტერლინგი	100	114,8	66,8
ფრანკი	100	126,1	—
ლირა იტალიური	—	—	—
„ ოსმალური	100	115,	74,9
ოქრო 10 მან.	100	107,6	61,1
„ ლირა	100	—	60,6
დოლლარი	100	105,7	72,6
მარკა გერმანული	100	104,5	50,0
ნიკოლოზის 100 მ.	—	—	—
„ 500 „			
კერენსკის	—	—	—
აზერბეიჯანის	—	—	—

№ 4

ახალგაზრდათა ხმა

№ 4

„ახალგაზრდათა ხმა“
გამოდის ხუთშაბათობით.
წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით—ტფილისი „ტრიბუნის“ რედაქცია, სასახლის ქ. № 6.
მასალები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი, აგრეთვე ზედ უნდა იყოს წარწერა „ახალგაზრდათა ხმისათვის“.

ჩვენი მოვალეობა

დღევანდელი თაობა ბედნიერია მით, რომ ის სცხოვრობს იმ პერიოდში, როდესაც სწყდება უდიდესი საკითხები; როდესაც ერთი მეორეს პირის-პირ დაუპირდაპირდა შრომა და კაპიტალი, რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია. ბედნიერია მით, რომ მან თავის ზურგით გადიტანა გიგანტიური ბრძოლა სოციალური რევოლიუციისა. რომ ის თვით იღებს მონაწილეობას იმ საქმეში, რომელსაც ეწოდება შრომის განთავისუფლება კაპიტალისაგან. ამ ბრძოლაში შეუდარებლად ნადგურდება ავანგარდი რევოლიუციისა და მებრძოლთა რიგებს თანდისთან აკლდება საუკეთესო მესაშენი. დღევანდელი თაობა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს დღევანდელი სოციალური რევოლიუციის ერთ ერთი მებაირახტრეთაგანი, მხოლოდ სწმენდს და აპოხიერებს ნიადაგს მომავალი სოციალისტური წყობილების დასამყარებლად. ამ მუშაობას თანამედროვენი თავდავიწყებამდე გატაცებული ეწევიან; მაგრამ იმდენად ძლიერი და უდრეკი იქნება რწმენა მათი გამარჯვებისა და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანისა, რამდენად ძლიერი იქნება ახალგაზრდათა მისწრაფება თანამედროვეთა გამოკლებულ რიგებში ჩადგომისა იმ დიადი და ბრწყინვალე საქმის დასაგვირგვინებლად, რომელსაც სოციალიზმის დამყარება ეწოდება. აი ამ იმედით აღჭურვილი ზინოვიევი ამბობს, რომ ნამდვილი აღმაშენებელი ახალი წყობილებისა არის ჩვენი მომავალი—ახალგაზრდობაო.

და განა არჩილი არ იყო, რომ გვასწავლიდა ქართველ ახალგაზრდობას: „ორი საგანი უნდა დაისახოს წინ ახალგაზრდობამ: სოციალიზმი და ეროვნული თავისუფლება; შრომა და მშრომელი ხალხი. ერი და ეროვნება“. აი ის ნიადაგი, რომელზედაც აღგვზარდა და გვასწავლიდა ჩვენი მამამთავარი არჩილი. ამ რიგად არჩილი გვეუბნებოდა, რომ ჩვენი მომავალი ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული; აჰა გზა, იარეთ ამ გზით, რათა ქართველი მშრომელი ხალხი—ქართველი ერი, ბედნიერებამდე მიიყვანოთო. იგივე არჩილი გვეუბნებოდა, რომ სოციალიზმი განხორციელდება არა პარლამენტის საშუალებით, არამედ მშრომელი ხალხის სარევოლიუციო მოქმედებითო. დიახ, არჩილის პროგნოზი დღევანდელმა რევოლიუციამ გაამართლა. ჩვენ მის მოწმე ვართ. არჩილის აზროვნება, შორსმჭვრეტი მახვილი გონება იყო მიზეზი ქართველი ახალგაზრდობა, რომ სოციალიზმ ფედერალიზმის დროშის ქვეშ დავირაზმეთ და ერთ ჰანგს ვეწყობოდით პარტიასთან ერთად.

მით უმეტეს დღეს, როდესაც რევოლიუციის მიმდინარეობამ დაგვანახვა სოციალიზმ ფედერალიზმის იდეის—მაშ არჩილის ნააზრევის—გამარჯვება, დროებით სხვა და სხვა მიზეზების გამო დაქსაქსული ძალები კვლავ ერთ მთლიან ორგანიზაციაში უნდა შემოვკრბეთ, რათა ვაკეთოთ ის დიადი ეროვნულ-სოციალისტური საქმე, რომელიც არჩილმა გვიანდერძა. რადგან კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ თუ მარქაფი რაზმი სუსტია, საუკეთესო არმიაც დაღუპვის კარისაა მიმდგარი; ხოლო მარქაფი რაზმი თუ თანდისთან იზრდება, სუსტი არმიაც კი გამარჯვებას მიაღწევს.

ი. გოგირაშვილი.

საუბარი ამხანაგებთან.

2.

პირველ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ის მდგომარეობა, რომელიც შეიქნა ჩვენს ახალგაზრდობაში, პარტიაში მომხდარ უთანხმოების გამო და შევჩერდი საქართველოს საკითხის გაგებაზე.

მაშინაც აღვნიშნეთ, რომ ჩვენ გარკვევით არ ვიცით, თუ რომელი გზით მიდიან ჩვენი ამხანაგები საქართველოს თავისუფლებისაკენ, მაგრამ ერთი მაინც აშკარაა. ისინი უარყოფენ რევოლიუციის შესაძლეობას ამ ახლო მომავალში ევროპის ქვეყნებში და დარწმუნებული არიან რუსეთის მოძრაობის დამარცხებაში. რადგან ეს ასეა, მაშასადამე უნდა გავითვალისწინოთ ის ძალები საერთაშორისო პოლიტიკაში, რომლებთანაც შეიძლება კავშირი ჰქნეს მემარჯვენე ფედერალისტებს.

დღეს სამი ინტერნაციონალი არსებობს, სოციალისტური პარტიის მისწრაფება ყოველთვის იყო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციასთან—ინტერნაციონალთან მჭიდრო კავშირი დაეჭირა.

საკითხავია თუ რა მიმართებაშია და როგორ დამოკიდებულებაშია მემარჯვენე ფედერალისტები ინტერნაციონალებთან. თავის თავად აშკარაა, რომ ისინი არ იღებენ მესამე ინტერნაციონალს. ისინი არ იღებენ არც მეორესა და არც ეგ. წოდ. ორ ნახევარ ინტერნაციონალს. მაშასადამე რაიმე სოციალისტური, თუ გნებავთ რეფორმისტული ორგანიზაციებთან მათ არა აქვთ კავშირი. საკუთარი ძალით ხომ შეუძლებელია დღეს საქართველოს საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა. ამასთანავე მარტო საკუთარი ძალის აღიარებით, ფედერალიზმის დებულება, რომ ვერც ერთი ერი ვერ შესძლებს საკუთარი ძალებით თავისი ცხოვრების მოწყობას, დარღვეული იქნებოდა. მაშასადამე რჩება ერთად ერთი ძალა, ეს ძალაა—ანტანტის ინტერვენცია.

ამას წინეთ ნ. ჟორდანია სწერდა, რომ ჩვენ მომხრე ვართ ინტერვენციის, მაგრამ ეს ინტერვენცია სოციალისტური უნდა იყოს და არა იმპერიალისტურიო.

შეიძლება ამ დებულებას განყენებულად რამე აზრი ჰქონდეს, მაგრამ რაც შეეხება პრაქტიკულად—იგი უაზროა. ცხადია ჟუოსა და ვანდერველდეს რაზმებით შეუძლებელია საქართველოში შემოსვლა. თუ რაიმე რეალური ძალა არის დღეს—იმედი ინტერვენციისა, ეს არის აშკარა რეაქციური ძალა, ანტანტის ძალა. როგორ შეფერის სოციალისტებს ასეთ ძალასთან კავშირი და მეგობრობა მკითხველმა შეაფასოს. ჩვენ კი მემარჯვენე ამხანაგებს ვერ გავყვებით ამ გზით, რადგან ეს გზა არის გზა საქართველოს არა ხსნისა, არამედ დაღუპვისა, არა განთავისუფლებისა, არამედ მონობისა.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ნება-სურვილით არავინ შემოვა საქართველოში, ხოლო თუ შემოვა აქ ინგლისის ჯარი—საქართველოს სიყვარულით კი არ გაჩერდება, არამედ საკუთარი ინტერესებით და ეს საკუთარი ინტერესები საქართველოს ქონებრივად გაძარცვასა და უფლებრივად დამონებას მოითხოვს.

არ უნდა გვავიწყდებოდეს აგრეთვე, რომ ევროპის სახელმწიფოებს და განსაკუთრებით ინგლისს, მთელი რიგი პატარა კოლონიები აქვს, რომელშიაც იგი შევიდა ცეცხლითა და მახვილით და რომელნიც მონად აქცია თავის გუბერნატორებისა. ჩვენ გვასულდგმულებს ჩვენი ქვეყნის უაღრესი სიყვარული და კაპიტალისტებს ვერ ჩავაბარებთ საქართველოს ბედს.

შეიძლება იფიქროთ დღეს ხომ ცუდ პირობებში ვართო. ეს მართალია, დღესაც ჩვენი პირობები რთულია და გაჭირვებაში ვიმყოფებით. ამის შესახებ უფრო ვრცლად შემდეგ წერილში მოვილაპარაკოდ.

ს. კვინწულისპირელი.

„ჩვენის შეხედულებით, თუ დემოკრატიული რეჟიმი გადაშენდება სოციალიზმის წესწყობილებათ, იგი პროცესი კაპიტალის კონცენტრაციის ძალით და პარლამენტის კანონმდებლობის საშუალებით კი არ მოხდება, არამედ ბურჟუაზიული საზოგადოების დანგრევის წყალობით, რევოლიუციის საშუალებით“.

არჩილ ჯორჯაძე.

ორგანიზაციისა და დისციპლინისათვის

დისციპლინა ფუძეა ყოველი ორგანიზაციისა, რომელზედაც შენდება ამ უკანასკნელის ყოველგვარი საქმიანობა. ის დუღაბია განკერძოებულ ძალების და უნარის შესაკავშირებლად, რომელიც მთლიან ფორმაში ასხამს ორგანიზაციის საქმიანობას. აიღეთ ისეთი ორგანიზაცია, რომლის წევრებს ერთმანეთთან მისი მეტი არა აკავშირებს რა, გარდა მათი კეთილ სურვილებისა და თქვენს წინ იქნება არა ორგანიზაცია, რომელსაც შესაძლებელია ჰქნეს გარკვეული მიზნები, არამედ თავისუფალ, პირად კეთილ სურვილსა და ნებაყოფაზე დამყარებულ პირთა კრებული: ცხადია, ასეთ ხალხს არ შეუძლია მიზნათ დაისახოს არა მარტო ფართო გეგმები და სამუშაო ასპარეზი, არამედ ისინი ვერ შესძლებენ ვერც ერთი უბრალო პრაქტიკული მიზნის განხორციელებას.

განსაზღვრული მიზანი ითხოვს განსახორციელებლად არა მარტო აზრისა და იდეის მთლიანობას, არამედ უაღრეს ორგანიზაციულ დარაზმვას, მტკიცე ორგანიულ კავშირს. გარეშე ამისა თქვენ ვერ შესძლებთ მოქმედებას და თუ ყოველ შემთხვევაში დასაწყისი მიეცა მას,—დასასრულს ვეღარ იხილავს.

ჩვენ დღეს პოლიტიკური პარტიის წევრები ვართ და ორგანიზაციაში ვიმყოფებით; პერსპექტივები გვისახავენ უამრავ სამუშაოს და თხოულობენ ჩვენგან მტკიცე და მძლავრ ენერგიას. ჩვენ ახალგაზრდობას, ყველაზე უფრო უნდა შეგვწევდეს მთელი ძალა და ღონე გავიღოთ ამ საქმისათვის და მზად ვიყოთ ყოველგვარ ბრძოლისათვის. ჩვენ მუდამ პირველ რიგებში ვიყავით სხვებთან ერთად,—ერისა და მშრომელი ხალხის უფლებებისათვის ბრძოლაში; მით უმეტეს ვერც დღეს ჩამოვრჩებით ამ რიგებს, დღეს, როდესაც მომენტი ჩვენგან ითხოვს უამრავ ძალის გაღებას და თავგანწირულ მუშაობას, ცხადია, ისე როგორც ყოველთვის, ჩვენი ახალგაზრდობა ერთგულ დარაჯათ დადგება იმ დროშის ქვეშ, რომელთანაც ის უკვე კარგა ხანია დაკავშირებულია.

რა პრაქტიკული ზომები არის საჭირო ამ დარაზმვისათვის, რა უნდა გახდეს იმ საფუძვლად, რომელიც უნდა დაედვას ჩვენს მუშაობას?—უპირველეს ყოვლისა მტკიცე ორგანიზაციული შეკავშირება. ჩვენ ვიცით, თუ როგორი ესმოდათ ჩვენში ორგანიზაცია, როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი პარტიის წევრობა. ჩვენს წინ არის ჩვენებური მემარჯვენე პარტიების ორგანიზაციული ყოფის მაგალითი. რას წარმოადგენდნენ ისინი?—იყო თუ არა არა მათი ორგანიზაციები ის მთლიანი წრე, რომელიც მტკიცეთ აერთებდა პარტიის ყოველ წევრს და საჭიროების დროს ერთგულად წამართავდნენ ამა თუ იმ მუშაობისაკენ. არა, მსგავსი რამ ითქმის განა ამ „ორგანიზატორებზე“.

მენშევიკური პარტია, რომელიც თავის რიგებში ნომინალურად 70,000 „წევრს“ ირიცხავდა, იმდენად კოტრი აღმოჩნდა ორგანიზაციულად რომ საჭიროების დროს 10,000 წევრიც ვერ დაიყენა მტკიცე რიგებში. ზედმეტია ლაპარაკი მემარჯვენე ფედერალისტებზე, რომელთაც ორგანიზაცია არც კი ქონიათ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და წარმოადგენდნენ „თავისუფალ მოაზრეთა, მოსაქმეთა“ საზოგადოებას.

ჩვენ, რასაკვირველია, ასეთ ქაოტურ ორგანიზაციებს ვერ დავეყრდნობით. ჩვენ უნდა შევქმნათ მტკიცე, ურყევი კავშირი პარტიის წევრთა შორის; წევრთა სიმრავლეს არას შემთხვევაში ყურადღება არ უნდა მიექცეს;—ჩვენი პირველი საზრუნავი უნდა იქნეს ორგანიზაციების თვისობრივად ამაღლება და გაწმენდა.—აქეთ არის ჩვენი მოწოდება, მაგრამ რა უნდა დაედვას საძირკვლად ორგანიზაციას?—ამხანაგურ გრძნობებზე, ხათრსა და მორიდებაზე ვერაფერს ვერ ავაშენებთ.

მტკიცე დისციპლინა, აუცილებელი დამორჩილება მისდამი და მისი ასრულება ყოველი პარტიის წევრისაგან,—აი, რაც შეადგენს ჩვენი ორგანიზაციების მშენებლობის სიმედო საფუძველს. ჩვენმა ახალგაზრდობამ იცის ბრძოლა; მასში არის ენერგია სამუშაოთ,—მაგრამ ამ ძალას გამოყენება უნდა, ფორმაში ჩასხმა ესაჭიროება. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს ევალებათ შესაფერად გაითვალისწინონ ეს მომენტი და ისეთი ორგანიზაციები შექმნან, რომელნიც ფეხზე დადგებიან პირველი დაძახებისთანავე!

ახალგაზრდა გ—ა

„რეფორმები სრულიად არ წარმოადგენენ სოციალიზმს, რომელიც შეიცავს სოციალური კითხვის გადაწყვეტის მხოლოდ ორ ფორმულას: კოლექტივიზმს ანუ კომუნიზმს მიწისა და ყველა საწარმოვო საშუალებათა მფლობელობასა და სარგებლობაში“. (პარიზის „საქართველო“—1904 წ.)

ახალგაზრდა მოლაშქრე

თუ-კი რაიმე საღმშენებლო მუშაობა არსებობს დღეს ჩვენს ქვეყანაში,—ჯარში კულტურული მუშაობის წარმოება უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ უდიდეს სააღმშენებლო და მომავლის საშურავანდელო საქმიანობად.

ცნობილია, რომ ჩვენი ხალხი მუდამ წინ იდგა სწავლა-განათლებით რუსის ხალხთან შედარებით, მაგრამ სამწუხაროდ, ეხლა არსებულ სინამდვილესთან მდგარი სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ. ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში—რუსეთის გლეხკაცობამ, ცალ ხელში მახვილითა და ცეცხლით და მეორეში კი წიგნებით, შესძლო ძალიან დიდი და შესამჩნევი ნაბიჯების გადადგმა პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობის დარგში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ლაშქარი სხვა და სხვა სამხედრო ვალდებულებებით არის დატვირთული, მაინც ახერხებს, ორი სამიოდე საათი მოსტაცოს თავის პირდაპირ დანიშნულებას და აქვე ლეგიონის კლუბში შეირბინოს, სადაც მზად არის მისთვის მასწავლებელი.

ყოველ გუნდში გახსნილია სამკითხველოები; ლეგიონთან არსებობს ერთ ვარი სამკითხველოც, სადაც გარდა ჩვეულებრივი გაზეთის კითხვისა,—განსაკუთრებული საათები მონდომებულია საგანგებოთ ლაშქრულებისთვის ხმა-მაღლა კითხვას რაიმე სალიტერატურო ნაწარმოებისა ჩვენ ქართველ მგოსანთა ნიმუშებიდან.

გარდა ამისა, ლეგიონშივე გამოყოფილია ლიტერატურული და დრამატიული წრე, რაშიც უხლოეს მონაწილეობას იღებენ ჯარის-კაცები. რიგდება ცალკე ბილეთები ყოველ დღე ქართულ ცენტრალურ კლუბში კინემატოგრაფისა თუ სადამოებზე დასასწრებლათ, რომელ კლუბსაც სამწუხაროთ ქართული ელფერისა ცოტა სცხია.

მეტად სასურველია კლუბს მიეცემ დეს ეროვნული ელფერი, რაც საჭიროდ დაუკავშირებს მას ქართველ მოლაშქრე

საერთოდ კი კულტურული მუშ დამაკმაყოფილებელია და იმედია, რ ახალგაზრდა გლეხი და მუშა ჯარის კაცის ტანსაცმელში უბრალო ბრ იარაღი კი არ იქნება, არამედ შ ბული მოქალაქე და თავისუფლებ შეგნებული დამცველი.

ახალგაზრდა მოლაშქრე შ ს—ია.

„ჩვენმა ხალხმა რევოლიუ ციის დიდებული დროშა აა რიალა და სოციალურ განახ ლების და ცხოვრების ყოველ გვარ წესწყობილების შეცვლი გზას მედგრად შეუდგა“...

(პარიზის „საქართველო“— 1905 წ.)

კიდევ ერთი მაგალითი

დიდიდან საბჭოთა ხელისუფლების ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილ ულ ამოძრავებდა დიდი იმედი ანტანტი ძალისა, რომელიც მოახდენდა მისგა „ცნობილ“ მთავრობის რესტავრაცია ამ ნიადაგზე დიდი მითქმა მოთქმა სწარ მოებდა ჩვენს „საზოგადოებაში“ დ ბევრი კურიოზიც კი აღმოცენდა. საზოგადოება ფრიად გაერთო „სამტრედიის ორიენტაციით“, სულ ამ ქალაქი საკენ იყურებოდა და იყურება დღესაც საიდანაც ელის რაღაც ძალას, რომელიც გაახედნიერებს ქართველ ხალხს.

რაც შეეხება საერთაშორისო პოლი ტიკას, ეს ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ფრიად დაინტერესებულია საერთაშორისო კომბინაციებით, მაგრამ მრუდე თვალთახედვით განხილული მდგომარეობა ცხადია დიდ იმედს ვეღარ ანხორციელებს. ვაშინგტონის კონფე რენციის ხანაში ამერიკიდან მოელოდნენ მხსნელ ვარსკვლავს, მაგრამ ასეთი ვარსკვლავის აღმოცენებას რაღაც მის ტიური ღრუბელი გადაეფარა და კანის კონფერენციაზე გადავიდა ამ „პოლიტიკოსთა“ ბრძნული შორს-მჭვრეტელობა. კანმა ფრიად უნუგეშოდ ჩაიარა, მაგრამ მორწმუნენი რისი მორწმუნენი არიან, რომ ახალი სარწმუნო არ აღმოიჩინონ. ეს ახალი სარწმუნო გენუას ძლევამოსილებაა.

დღეს მჭერმეტყველობს გენუაში ევროპის დიპლომატნი, ტფილისში კი გულისფანცქალით ელოდება საბჭოთა ხელისუფლების აღსასრულს „ღრმა პოლიტიკოსნი“ და ამით ფიქრობს საქართველოს გაბედნიერებას.

ჩვენ არას ვიტყვით, როგორი ბედნიერება ეხვევა აზიისა და აფრიკის ერებს კაპიტალისტთა კლანჭებში, მაგრამ ერთი რამ მაინც საინტერესოა. გენუაში რომ არ გამართლდეს „იმედი და სასოება“ მემარჯვენეთა, ისწავლიან თუ არა ისინი ჭკუას და შეუდგებიან თუ არა ისევ ქვეყნისათვის სამსახურს? ვფიქრობთ რომ არა.

მათი იმედი და რწმენა უსაზღვროა, მათი ფანტაზია მდიდარია. ამიტომ ისინი კიდევ რაღაც ქიმერას გამონახავენ, მაგრამ ერთი კი ეჭვს გარეშეა.

კრიტიკულად მოაზროვნე ნაწილი ჩამოშორდება ჩვენს „ღრმა პოლიტიკოსებს“ და შეიგნებს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ვიმყოფებით და რომელიც დიდ საპასუხისმგებლო მოვალეობას გვაკისრებს.

დიდხნობით ფანტაზიური ქიმერები ვერ გამოკვებავს საღ მოაზროვნე ელემენტებს და გენუას გადაწყვეტილება გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება მათთვის.

ეროვნული მოღვაწეობა ერის მიმართ გადაცვისა და საბოტაჟის პოლიტიკა კი არ არის, არამედ მუშაობის, თუ გნებავთ იმ პირობებშიაც კი, რომ დაბლა დახარო შენი პარტიული დროშა და პირადული თავმოყვარეობაც.

ვნახოთ რას ეტყვის გენუა „მორწმუნეთ“ და რა გზას დაადგება ეს „ღრმა პოლიტიკანი“.

ლია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 500
საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენტ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.
ნ. დ. ს. ც.

საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 200

ოთხშაბათი, აპრილის 26

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

დაიბეჭდა და იყიდება
ახალი საბავშვო სურათებიანი წიგნი
სოფრ. გლახაშვილისა
თხები და ცხვრები და სხ. იგავარაკნი
მიხივე:
ტომი 1 და 2
ბუხჰალტერია
ქ. წერა-კითხ. საზოგ. მაღაზიაში.

ეროვნული საკითხი და პრაქტიკული პოლიტიკა

ეროვნული საკითხის თავიდან მოშორება ფრიად ძნელი საქმეა ყველასათვის. შეიძლება უარყოთ იგი, შეიძლება თეორიულად ხელი აიღოთ მასზე, მაგრამ სინამდვილე, პრაქტიკა' თვალწინ დაგიყენებს მას მთელი სიმწვავით და მთელს თქვენ თეორიას დაახვევინებს ისე, როგორც ბევრს დაახვევინა იგი.

ქართველი ხალხის ისტორია კონკრეტი გამოხატულებაა იმ საარაკო გმირობის, რომელიც შეუძლია კულტურულმა ერმა გამოიჩინოს თავის დასაცავად გამართულ ბრძოლაში და ყოველივე მიტანის მსხვერპლად თავისი ეროვნული ინდივიდუალობის ხელუხლებლობისა და შენარჩუნებისათვის.

კ. მარქსი, რომელიც იძახდა სამშობლო არა მაქვსო, ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან, როდესაც გერმანელს ვინმე შეურაცხყოფდა. ეს მაგალითია იმ საანბანო ჭეშმარიტებისა, რომელიც დღესაც კი საკმაოთ და პრობლემატიურია ბევრისათვის, რომ ყოველი პიროვნება მჭიდროდ, ათასგვარი ხილული თუ უხილავი ძაფებით დაკავშირებულია იმ ქვეყანასთან, სადაც იგი შობილა.

მაგრამ არ კმარა თეორიული გადაწყვეტა საკითხისა, ეროვნული საკითხის მთელი სიმძიმე თეორიაში კი არ არის უმეტესად, არამედ პრაქტიკაში.

ბოლშევიკებს თავის წარსულში დიდი შეცოდებანი აქვს ეროვნული საკითხის თეორიულ გადაწყვეტაში.

დღეს ამ მხრივ მდგომარეობა შეცვლილია. თურმე დოგმატიური თეორია კი არ არის ისტორიული პროცესის მამოძრავებელი, არამედ ცოცხალი წყობა მოვლენათა, რომელიც ბევრ თეორიას გააქარწყლებს და ამ „მეცნიერ" თეორეტიკოსებს თავის ლოღიკას უმორჩილებს.

ასეთი ბედი ეწვია ბოლშევიზმს. მან დასტოვა თავისი გზა და ფედერალიზმის დროშას წამოავლო ხელი. მაგრამ ესეც არ კმარა. პოლიტიკური ხაზი პრაქტიკაში უნდა ტარდებოდეს. ლოზუნგები და ფრაზეოლოგია ვერ დაფარავს დეფექტებს.

თეორიაში დღეს ვერავინ ვერ გაბედავს ეროვნული თავისუფლების შეზღუდვის ქადაგებას, მაგრამ აგრეთვე ვერავინ ვერ უნდა ბედავდეს მის მიჩქმალვას სინამდვილეში, პრაქტიკაში.

პოლიტიკა პრაქტიკის საქმეა.

ლენინს კარგად ესმის პრაქტიკის დიდი მნიშვნელობა, როდესაც ერთ თავის წიგნში გვეუბნება, რომ „პრაქტიკა ასჯერ უფრო დიდმნიშვნელოვანია ყოველივე თეორიაზეო" *) დიახ, სწორედ ეს პრაქტიკა დღეს საქართველოში დაშორებულია თეორიას, რომ ლამის ზოგიერთ შემთხვევაში დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

ეს მოვლენა არ არის გასაკვირი. სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის საჭიროა არა მარტო პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურის შექმნა, არამედ სუბიექტიური სიმზადისაც; რომელიც სწორედ განამდვილებს ცხოვრებაში თეორეტიულ დებულებათა შინაარსს. დღეს მართალია ყოველ ქუჩის მოსახვევში ვყვირით, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების ბატონობაა, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ სავსებით კიდევ არ განვკურნებულვართ ბიუროკრატიზმის ზეგავლენისაგან, რომლის შესახებ იგივე ლენინი, შემდეგს გვეუბნება „სახელმწიფო ჩვენ გვაქვს მუშური ბიუროკრატიული ხენით დამახინჯებული**).

თუ რუსეთის შესახებ ითქმის ეს, მით უფრო სამართლიანად ითქმის განაპირა ქვეყნების შესახებ. საქართველოში არიან ისეთი ელემენტები, რომელიც მაღლიდან დასცქერის ჩვენს ქვეყანას და ერთგვარ ნადავლად წარმოუდგენია იგი. ბევრს ავიწყდება, რომ საქართველო რუსეთის რომელიმე გუბერნია კი არ არის, არამედ კულტურული ერის საკუთარი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე, რომელიც ნებას არავის მისცემს შეურაცხყოს მისი ენა და დაამცროს მის უფლებას.

ჩვენ დღეს დიდი პოლიტიკური მიზნების შესახებ ფრიად გრძელ ფელეტონებს ვწერთ ხოლმე: ეს ბუნებრივია. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვს საერთაშორისო პოლიტიკის ხასიათს. ვინც იცნობს პატარა ერთა სისხლიან ტრაგედიას, იგი დაგვეთანხმება, რომ ჩვენ არ შეგვწევს ძალა განმარტოვებულად, გამოთავთავებულად ვაწარმოოთ დამოუკიდებელი პოლიტიკა, მით უფრო დღეს, როდესაც მსოფლიო მაშტაბში იშლება ბუმბერაზ ძალთა დაპირისპირება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს პატარა ერმა ყველაფერი ისე უნდა გაიგოს, როგორც ეს დიდ ერებს მოესურვებათ. პირიქით, პატარა ერის პოტენცია სავსებით უნდა ესწრაფებოდეს, რომ არ გახდეს ვისიმე ექსპლოატაციის ობიექტი, ვისიმე მონა-მორჩილი.

დღეს იმ სააღმშენებლო მუშაობასთან ერთად, რომელიც სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში, ადგილი აქვს დიდ დეფექტებს და რუსული ბიუროკრატიზმის ნაშთებს.

მტრები მას საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ იყენებენ, პირიქით, საბჭოთა სისტემა საუკეთესო იარაღია ეროვნული და სოციალისტური მიზნების განსახორციელებლად, მაგრამ დღეს ეროვნული პოლიტიკის სფეროში დეფექტები უკვე სისტემის ხასიათს ღებულობს, რაც მეტად ანორმალურ ხასიათს აძლევს მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

ბოლშევიზმისათვის ეროვნული საკითხი გადაჭრილია თეორიულად. მართალია მათი გაგება ერისა, არ ეთანხმება ჩვენსას, მაგრამ ეროვნული პრობლემის პოლიტიკურ მხარეს ისინიც დღეს ისევე სჭრიან, როგორც ჩვენ. ამ მხრივ ჩვენსა და მათ შორის თეორიულად დიდი უფსკრული არ არის გათხრილი. მაგრამ საქმის ვითარება იცვლება, როცა პრაქტიკის სფეროში გადავდივართ.

როგორც მენშევიზმი, ისე ბოლშევიზმიც საგარეო პოლიტიკის პრიზმით უდგება ეროვნულ საკითხს. ამ გარემოებას იმდენათ აქვს დღეს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი აკავშირებს უცხო ძალებს, საერთაშორისო მაშტაბით ზომავს პოლიტიკურ მოვლენებს და ამ ნიადაგზე პრაქტიკაში ხდება არანორმალური მდგომარეობა მით, რომ ჩვენში უცხო ელემენტი და კულტურა ავიწროვებს ჩვენს ეროვნულ კულტურას, ენის მდგომარეობა ამ მხრივ დამახასიათებელი არის.

ჩვენში სრულიად განვითარებულია ეროვნული თავისუფლებისადმი სწრაფვა. ეს შედეგია იმ უკუღმართი ბედის, რომელიც მონურ უღელს გვადგამდა და გაგვაცდევინებდა მთელ საშინელებას კულტურული ერის დამონებისას. ჩვენი შეურაცხყოფილი ეროვნული თავმოყვარეობა კატეგორიულ ფორმებში მოითხოვს, რომ მკაცრად დაცული იქნეს ყველა პირობებში ქართველი ერის ეროვნული თავისუფლების ყოველი ატრიბუტი, რასაც მოითხოვს ქართველი მშრომელის რეალური ინტერესები და მშრომელთა ბატონობის უზრუნველყოფა.

ჩვენ არ გვინდა დღეს ეროვნული პრობლემის თეორიულ მხარეზედ ვილაპარაკოთ. მოვესწარით იმ დროს, როდესაც ეს საკითხი სრულიად პრაქტიკულ ნიადაგზე სდგას და ჩვენ ყველას გასაგონად ვაცხადებთ—ხელი შორს ვინც ვერ ეგუება ჩვენს ეროვნულ თავისუფლებას, ვინც ვერ დაიცავს ჩვენს ენას და ჩვენს კულტურას!

ჩვენ მზათა ვართ მეგობრულად დავუკავშირდეთ არა მარტო ახლო მეზობლებს, არამედ ყველას, რასაც გვავალებს როგორც ჩვენი მსოფლმხედველობა, ისე საქართველოს რეალური ინტერესები, მაგრამ ეს კავშირი ურთიერთ დათმობისა და ინტერესთა გაგების ნიადაგზე უნდა მოხდეს. დღეს კი ყოველი კავშირი უმთავრესად მარტო ჩვენს ხარჯზედ ხდება. ერთმა პასუხისმგებელმა კომუნისტმა განაცხადა, რომ „თავი უნდა გაუჭეჭყოთ ყოველი ჯურის ნაციონალისტებსო", მაგრამ საუბედუროდ მას მხედველობაში ქონდა მხოლოდ საქართველოს ნაციონალისტი. ჩვენ ამავე დებულებას სავსებით ვიზიარებთ, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ თავი უნდა გაუჭეჭყოთ იმ ქართველს, რომელიც მიზნად ისახავს მეზობელ ერების შევიწროებას, მაგრამ ასეთივე ექსპერიმენტი უნდა მოვახდინოთ იმ ხალხის მიმართაც, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უშლის ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების დაცვას. ჩვენ სხვისი შევიწროება კი არ გვსურს, საკუთარი თავისუფლებისათვის ვიბრძვით, სხვის ენას კი არ ვდევნით, საკუთარს ენას ვიცავთ დევნისაგან. ვისაც სურს ემსახუროს ქართველ მშრომელ ხალხს, იგი მოვალეა ანგარიში გაუწიოს მის ნებისყოფას, მის კანონიერ მოთხოვნილებას. იგი მოვალეა პატივით მოეპყრას ჩვენს ენას, ჩვენს კულტურას. უნდა დავანახოთ მტერსა და მოყვარეს, რომ ხალხის ჭეშმარიტი თავისუფლების მსახურნი ვართ და არავის არ მივცემთ უფლებას, რომ საქართველო თავისი ბატონობის არეთ აქციოს.

ამიტომ ჩვენმა კომუნისტებმა უნდა მოიგონონ მასწავლებლის ლენინის სიტყვები, რომ „პრაქტიკა ასჯერ დიდმნიშვნელოვანია ყოველივე თეორიაზე".

ჩვენც მხოლოდ ის გვინდა, რომ წითელ დროშას წითელი საქმე ამართლებდეს ლამაზს თეორიას ლამაზი პრაქტიკა ამტკიცებდეს, დიადი სინამდვილე უფარდებოდეს...

პრაქტიკით, საქმით, სინამდვილით უნდა ხდებოდეს ერის ინტერესების დაცვა და არა თეორიით, ლოზუნგით, დეკლარაციით. მაშინ ბოლო მოეღება ყოველგვარ გაუგებრობას და ქართველი მშრომელი ხალხური გამოუკლებლივ მტკიცეთ გასწევს ჭაპანს მშრომელთა ბატონობის გასამტკიცებლად.

სერ. ამალობელი.

---

*) В. Ленин „О профессиональных союзах". გვ. 16.

**) ibid. გვ. 10.

* * *

საქართველო და გენუას კონფერენცია

„ტანის" თებერვლის 15-ს ნომერში მოთავსებული არის შემდეგი ცნობა:

საქართველოს რესპუბლიკის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა ნოტით მიმართა მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობებს, რომელშიც მოითხოვდა გენუას კონფერენციაზე საქართველოს კანონიერ წარმომადგენლების მოწვევის საჭიროებას. აქ ჩვენ მოვიყვანთ მთავარ ადგილებს აღნიშნულ ნოტიდან:

გენუას კონფერენცია მეცადინეობს ევროპის ეკონომიური ცხოვრების აღდგენას, მაგრამ ამას გარდა, ამავე საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ უყურადღებოდ არ იქმნას დატოვებული საქართველოს და საერთოთ კავკასიის არსებობა აღნიშნულ საკითხის განხილვის დროს. თავისი ბუნებრივი სიმდიდრით და გეოგრაფიული მდგომარეობით, რომელიც აადვილებს ევროპასთან კავშირს და ხდის მას თითქმის სატრანზიტო გზათ აზიასა და ევროპის შორის მეზობელ სახელმწიფოებიდან გამოსულ საქონლებისათვის (მაგ. ნავთსადენი, ბაქო, ბათუმი) ამ საკითხის გადასაჭრელად საქართველო წარმოადგენს ისეთს ფაქტორს, რომელიც თავისი დიდი მნიშვნელობით არ უნდა იქმნას მივიწყებული. ზედმეტია კიდევ აღინიშნოს საქართველოს მჭიდრო კავშირი ევროპასთან ეკონომიური თვალსაზრისით, მნიშვნელობაზედ უცხოელ კაპიტალისა, რომელიც მოქცეულია საქართველოს წარმოებაში, როგორც მაგალითად: მარგანეცი, სპილენძი, რომელთა წარმოება განსაკუთრებით დაყრდნობილია უცხოელ კაპიტალზე, აქედან ცხადათა სჩანს, რომ შეუძლებელია გამოყოფილ იქმნას ევროპის აღდგენის საკითხი იმავე საკითხიდან შესახებ საქართველოსა და საერთოდ მთელი კავკასიისა. ის ფაქტი, რომ ამ ჟამად საქართველო დაკავებულია საბჭოთა რუსეთის ჯარის მიერ, არ უნდა იქმნას განხილული, როგორც ძირითადი მიზეზი გენუას კონფერენციაში მონაწილეობის უარსაყოფად, ვინაიდან ასეთი მდგომარეობა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით სრულიადაც არა სცვლის მის სტატუტს, რომლის შედარება შესაძლებელია იმ სახელმწიფოების მდგომარეობასთან, რომელთა ტერიტორია დაკავებული იყო დიდი ომიანობის დროს უცხოელ ჯარით.

დღევანდელი საქართველოს გამგენი, რომელნიც არიან უბრალო მოხელენი მოსკოვის მთავრობისა, ვერ შესძლებენ კონფერენციაზე მის წარდგენას. კანაში შეკრებილმა უმაღლესმა საბჭომ მეექვსე მუხლის დადგენილებით, შესახებ პირობებისა, რომელიც უნდა შეასრულონ გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა სახელმწიფოებმა, გადასწყვიტა, რომ ამ სახელმწიფოებმა უარყონ თავიანთი აგრესიული მოქმედებანი წინააღმდეგ თავიანთ მეზობლებისა.

ეს პირობები დარღვეული იქმნა რუსეთის მიერ, რომელიც ომის გამოუცხადებლად და სრულიად უსაბაბოდ შემოიჭრა საქართველოში და ჩააყენა იგი სამხედრო ოკუპაციის მდგომარეობაში, იმ ოკუპაციისა, რომელიც თუ რომ შემდეგშიაც მოთმენილ იქმნა იგი, შექმნის ისეთს პრეცედენტს, რომელიც გამოიწვევს სათანადო შედეგებს რუსეთის მეზობელ სხვა სახელმწიფოების მიმართაც. არ იქნება ზედმეტი აღინიშნოს პირველი მუხლი ხელშეკრულებისა, რომელიც დადებული იყო საქართველოსა და რუსეთს შორის 7 მაისს 1920 წ. რომელ ხელშეკრულებასაც ამასთან ერთად თქვენთან ვადგენ.

ამ მუხლიდან გამომდინარეობს, რომ რუსეთმა გარკვეულად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაშასადამე ცხადია, რომ, ზემო აღნიშნული ეკონომიური და პოლიტიკური მოსაზრებით, საქართველოს მონაწილეობას გენუას კონფერენციაზე მოითხოვს არა მარტო მისი სრულიად დასაბუთებული უფლება და ინტერესები, არამედ ინტერესები საერთო ხასიათისა".

„ტანი" 26 თებერვალს ათავსებს ცნობას, რომ საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩხენკელი მიღებული იყო საფრანგეთის პრეზიდენტის პუანკარეს მიერ.

* * *

რუსეთის პირობები

სანტა-მარგარიტა

22 აპრ. (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო). ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ანტანტისა და რუსეთის შორის, ორივე მხარემ ჩამოაყალიბა თავისი მოთხოვნილებანი და აგრეთვე აღნიშნეს საზღვარი იმ დათმობათა, რომლის საფუძვლებზეც შესაძლებელი იქნება საქმიანი შეთანხმება.

ჩიჩერინმა გაუგზავნა წერილი ლლოიდ ჯორჯს, რომელშიც აცნობა, რომ რუსეთის მოთხოვნილებანი შემდეგია: რუსეთის დაუყოვნებლივი ცნობა, დაუყოვნებლივ მიცემა მნიშვნელოვანი სესხისა, გაუქმება ომის დროინდელ ვალებისა და აგრეთვე მათი პროცენტებისა; თუ ეს პირობები მიღებული იქნება, რუსეთი თანახმაა იცნოს ომამდე არსებული ვალები. მაგრამ რუსეთი მოითხოვს გადახდის გადადებას მორატორიუმის სახით დაახლოვებით 20 წლამდის და აგრეთვე ომამდის არსებულ ვალების პროცენტების ჩამოწერას. რაიცა შეეხება ყოფილ მესაკუთრეთა პრეტენზიებს, რუსეთი იმ შემთხვევაში თუ მიღებული იქნება ზემო მოყვანილი მოთხოვნილებანი დათანხმდება მისცეს კონცესიები ყოფილ მესაკუთრეთ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. ხოლო

ისეთ შემთხვევაში, სადაც ასეთი კონცესიების გაცემა შეუძლებელი იქნება, საბჭოთა მთავრობა თანახმა იქნება დააკმაყოფილოს მათი კანონიერი მოთხოვნილება ან ყოფილ მესაკუთრესთან უშუალო ურთიერთი შეთანხმებით ან და იმ გვარად, როგორადაც ეს შემუშავდება კონფერენციის მსვლელობაში.

ჩიჩერინის წერილის მიღების შემდეგ, ლლოიდ ჯორჯმა მოიწვია პოლიტიკური კომისიის ქვეკომისიის სხდომა გერმანელების წარმომადგენლების გარეშე. თავმჯდომარე შანცერმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციის წერილის მიხედვით ცნობილ იქნა შესაძლებლად შემდეგი მოლაპარაკების განგრძობა ექსპერტების კომისიაში და ამის გამო მისცა დამსწრეთ წინადადება დაასახელონ ასეთები.

ბარტუს სურდა წარმოეთქვა სიტყვა იმ შეუფერებლობის შესახებ, რომელიც არსებობს საბჭოთა რუსეთის წარსულისა და აღიარებულ პრინციპებს შორის. ჩიჩერინმა პროტესტი განაცხადა ბარტუს წინააღმდეგ, რომელსაც სურს ჩრდილი მიაყენოს საბჭოთა დელეგაციის მოქმედებას. ამით კამათი დამთავრდა. გამოქვეყნდა წესი ექსპერტების კომისიის შედგენისა. მასში შევლენ ექსპერტები ანტანტის სახელმწიფოთა, პოლონეთის, მცირე ანტანტის, ჩეხო-სლოვაკიის, ნეიტრალურ სახელმწიფოთაგან და გოლანდის. რუსეთს ეყოლება 4 წევრი—კრასინი, ლიტვინოვი, რაკოვსკი და რუდზუტაკი. დღეს მოხდება ექსპერტების პირველი სხდომა.

გენუას კონფერენციის გარშემო

რუსეთის პრობლემის გადაწყვეტა.

ბორდო 22 აპრილი. გერმანიის ნოტაში, რომელიც წარედგინა კონფერენციის პრეზიდიუმს, აღნიშნულია, რომ რაპალოში დადებული ხელშეკრულება გამოწვეული იყო რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის სურვილით და თვით რუსეთისაგან კონტრიბუციის მოთხოვნის თავიდან აცილებით, თუ, რასაკვირველია, მიღებულ იქნებოდა ლონდონში ექსპერტების მიერ შემუშავებული მოხსენება. დასასრულ გერმანიის ნოტაში გამოთქმულია სურვილი შესახებ იმისა, რომ გენუის კონფერენციამ შესძლოს რუსეთის საკითხის გადაწყვეტა მხედველობაში ექნება რა მიღებული რუსეთ გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება.

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გარშემო.

გერმანიის პასუხი

გენუა 22 აპრილი. გერმანიის კანცლერმა ვირტმა ნახა 21 აპრილს დილის 11 საათზე კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტა და გადასცა მას წერილობითი პასუხი იმ ნოტაზე, რომელიც გერმანიის მთავრობას გაუგზავნა ანტანტამ.

გენუა 22 აპრილი. თავის საპასუხო ნოტაში, რომელიც გერმანიამ გაუგზავნა ანტანტას რაპალოში დადებული ხელშეკრულების შესახებ, გერმანიის დელეგაცია პირველ ყოვლისა გამოსთქვამს მწუხარებას ნოტის იმ კილოს შესახებ, რომელიც დამახასიათებელია მოკავშირეთა უკანასკნელი ნოტისა. გერმანიის დელეგაცია აცხადებს, რომ იგი სრულებით არ არის სოლიდარობის წინააღმდეგი. თვით რაპალოში დადებული ხელშეკრულება გამოწვეულია იმპერატიული მიზეზებით და ნაკარნახევია სურვილით შეიქმნეს ბაზა მთლიანი მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის აღორძინებისაკენ. გერმანიის ნოტაში აღნიშნულია, რომ გერმანია არ არის დაინტერესებული პოლიტიკური კომისიაში მუშაობით, რომელიც განიხილავს მხოლოდ რუსეთისა და მოკავშირეების საკითხებს, რადგანაც გერმანიამ უკვე დასდო ხელშეკრულება რუსეთთან. გერმანია ძალიან დაინტერესებულია ყველა იმ კამათით, რომელიც შეეხება რუსეთთან მომავალი დამოკიდებულების სახეს.

დასასრულ ნოტაში გამოთქმულია გერმანიის სურვილი ითანამშრომლოს ყველა სახელმწიფოებთან რათა შესაძლებელ იქნეს იმ მიზნების განხორციელება, რომელიც დასახული იყო გენუის კონფერენციის მოწვევისას.

გენუა 22 აპრილი. გერმანია თავის საპასუხო ნოტაში აღნიშნავს, რომ იგი პროტესტს არ განაცხადებს მისი იმ პოლიტიკური კომისიიდან გამორიცხვის შესახებ, რომელიც იხილავს რუსეთის საკითხს.

ნაუენი 22 აპრილი. გერმანიის მთელი პრესა იწონებს გერმანიის დელეგაციის შემარიგებელ ტაქტიკას.

თეთრ-გვარდიელთა შეთქმულობის აღმოჩენა.

სანტა მარგარიტა 22 აპრილი. (რუსეთის დელეგაციის პრეს-ბიუროს რადიო). გაზეთი „ილლ-მონდო“ იუწყება საბჭოთა დელეგაციის საწინააღმდეგო თეთრ-გვარდიელთა ტერორისტული შეთქმულობის აღმოჩენას, დაპატიმრებულია 15 კაცამდი, რომელნიც ჩამოვიდნენ ყალბი პასპორტებით. 18 აპრილს იტალიის პოლიციამ დაპატიმრა გენუაში ვინმე გულენი, რომელიც თავის თავს ჟურნალისტათ, კონსტანტინოპოლის რუსულ გაზეთის კორესპონდენტად ასაღებდა. გულენის პიროვნებაში იტალიის პოლიციამ გამოაშკარავა ცნობილი რუსი ტერორისტი ბორის სავინკოვი, რომელსაც სურდა თავისი პირადი პროტექციის წყალობით, მიეღო სანტა-მარგარიტაში საბჭოთა დელეგაციის დაცვის გამგებლობა. ფიქრობენ, რომ მზადდებოდა ლენინზე თავდასხმა თუ იგი ჩამოვიდოდა გენუაში.

რუსეთ გერმანიის ხელშეკრულობა.

კონფლიქტი ამოწურულია.

ვილდვეზე 21 აპრილი. (გერმანიის პრესის რადიო) (მოსკოვით). გერმანიისა და მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურების მოლაპარაკებამ თითქოს ფაქტიურად ამოსწურა ის კონფლიქტი, რომელიც შეიქნა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების ხელის მოწერის ნიადაგზე. ოფიციალურად ცნობილი იქნება კონფლიქტის დამთავრება. რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება სავსებით ძალაში რჩება და არ იქნება დასმული განსახილველად გენუის კონფერენციაზე. პრესა კმაყოფილებით შეხვდა კონფლიქტის ამოწურვას.

გერმანიის პასუხი.

ლონდონი 21 აპრილი. გერმანიის დელეგაციამ პასუხი გასცა მოკავშირეთა ნოტას რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ. გერმანიის დელეგაცია თავის პასუხში თანხმობას უცხადებს, მისი წევრების რუსეთის საკითხების შესახებ არსებულ კომისიიდან გამორიცხვაზე გერმანიის დელეგაცია აცხადებს რომ მას ახელმძღვანელებს გულწრფელი გრძნობა სოლიდარობისა და მზად არის მიიღოს ყოველგვარი მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში.

ლოიდ ჯორჯი და რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება

ლონდონი, 21 აპრილი. ჟურნალისტებთან ბაასის დროს ლოიდ ჯორჯმა გამოსთქვა იმედი იმის შესახებ, რომ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულებით შექმნილი დაბრკოლებანი ამ ჟამად უკვე გადალახული არიან, მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება ყოფილიყო კონფერენციის ჩაშლის ცდა. იგი არ იყო დადებული კონფერენციის ჩაშლის სურვილით,—ამაში დარწმუნებული ვართ. თუ კონფერენცია დამთავრდება ისე, რომ არ მოხდება შეთანხმება ევროპიულ ყველა სახელმწიფოთა შორის, მაშინ მე კონფერენციას ჩავთვლი უშედეგოდ და უმიზნოდ.

იმ კითხვაზე, ფიქრობს თუ არა იგი, რომ კონფერენციის მუშაობა უნდა განაგრძოს ერთა ლიგამ და უნდა შევიდნენ თუ არა ერთა ლიგის წევრებად გერმანია და რუსეთი, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა; ერთა ლიგა სავსებით შეეფერება ამ მიზანს. რაიცა შეეხება რუსეთისა და გერმანიის ერთა ლიგაში მონაწილეობის საკითხს, ერთა ლიგა ვერა დროს ვერ გახდება მშვიდობიანობისა და ზავის საფუძვლად თუ რაში არ იქნებიან წარმოდგენილნი ყველა ერების გამოუკლებლად.

დასასრულ ლოიდ ჯორჯმა, იმედი გამოსთქვა კონფერენციის სასურველად დამთავრებისა.

საფრანგეთის ტაქტიკა

ვენა, 19 აპრილი. საფრანგეთის წრეებმაც დაუწყეს [illegible] ყურადღება გერმანიის მოქმედებას —ფრანგებიც მზად არიან იცნონ შეცდომად გერმანიის პოლიტიკურ კომისიიდან გამორიცხვა და ხელახლავ გადასინჯონ მიღებული დადგენილება.

საზოგადოებრივი აზრი რუსეთის დელეგაციის მხარეზეა

ვენა, 19 აპრილი. ვენის პრესა, განურჩევლად მიმართულებისა, ერთხმად აღნიშნავს რუსეთის დელეგაციის დიდ გამარჯვებას და ხაზს უსვამს მოკავშირეთა შემცდარ ტაქტიკას, რომელთაც აიძულეს განმარტოვებული გერმანია ხელშეკრულება დაედო რუსეთთან.

ქრისტიანია, 21 აპრილი. ნორვეგიის ყველა დიდ ქალაქებში გაიმართა მნიშვნელოვანი დემონსტრაციები, რომლითაც თანაგრძნობას უცხადებდნენ საბჭოთა დელეგაციას გენუაში.

რუმინია და რუსეთი

ვარშავა, 19 აპრილი. რუმინიის დელეგაციის თავმჯდომარემ ლამანდომ განაცხადა, რომ რუმინიას რუსეთის მიმართ აქვს მხოლოდ კეთილმეზობლური და მშვიდობიანი განზრახვები, მას სურს მონაწილეობა მიიღოს რუსეთის ეკონომიურ აღდგენაში.

რუსეთის საკითხი კონფერენციაზე

სანტა მარგარიტა. 21 აპრილი. (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო მოსკოვით). დღეს ათი დღის შეწყვეტის შემდეგ განახლდა პოლიტიკური კომისიის ქვეკომისიის მუშაობა, რომელიც იხილავს რუსეთის საკითხს. საბჭოთა დელეგაციამ [illegible] შორით, რომ არავითარ, თუ გინდ უმნიშვნელო, [illegible] შეუძლებელი, ლაპარაკი თუ რუსეთს არ მიეცემა დიდი სესხი და დაწესებული არ იქნება მისთვის ხანგრძლივი მორატორიუმი ვალების გადასახდელად. თუ სესხზე უარი იქნება ნათქვამი. რუსეთი თავის მხრივ ალარავითარს დასთმობს, განსაკუთრებითი წინააღმდეგობა გამოიჩინეს მოკავშირეებმა ყოფილ ფაბრიკანტებისათვის და მექარხნეებისათვის ჩამორთმეული საკუთრებათა დაბრუნების საკითხში, თუმცა რუსეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ამ საკითხში არავითარი დათმობა არ არის შესაძლებელი.

გერმანელებთან კონფლიქტი დამთავრდა მით რომ, როგორც გერმანელებმა ისე რუსებმა განაცხადეს, რომ ხელშეკრულების გაუქმება შეუძლებელი არის, გერმანელები დარჩებიან კონფერენციაზე, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებენ პოლიტიკურ კომისიაში, რადგან რუსეთის საკითხი მის მიერ უკვე გადაწყვეტილია დადებული ხელშეკრულებით.

გენუის ქალაქის თვითმართველობის ბანკეტი.

სანტა მარგარიტა. 21 აპრილი. (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო მოსკოვით). გუშინ გენუის მუნიციპალიტეტმა კონფერენციის წევრთა პატივსაცემლად ბანკეტი გამართა. როდესაც ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გამოჩნდნენ ჩიჩერინი და კრასინი, ისინი გახდნენ ყველას ყურადღების საგნად და მათ აშკარა თანაგრძნობას უცხადებდნენ მათ შეხვდნენ ტაშის ცემით, მიართვეს ყვავილები და სთხოვდნენ სურათის გადაღებას. გენუის დემოკრატიულ წრეების დამოკიდებულებას საბჭოთა დელეგაციის მიმართ შეიძლება ტრიუმფი უწოდოთ.

ჩვენი საერთაშორისო დამოკიდებულება. რუსეთი და პოლონეთი.

მოსკოვი, 27 აპრილი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა გონეცკიმ მიმართა პოლონეთის წარმომადგენელს სტეფენსკის ნოტით, რომელშიაც აცნობებს მას, რომ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს მრავალი ცნობები აქვს იმის შესახებ, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე ემზადება მრავალი შეიარაღებული ბანდა, რომელსაც განზრახვა აქვს როგორც რუსეთის, ისე მეზობელ რესპუბლიკების წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყოს. ნოტა წინადადებას აძლევს პოლონეთის მთავრობას დაუყოვნებლივ შექმნას შერეული კომისია საბჭოთა რუ-

ანტანტა, გერმანია და საბჭოთა რუსეთი

3

ჩვენ დავინახეთ, რომ საერთაშორისო ომის ზეგავლენით და ვერსალის საზავო პირობების წყალობით გერმანიის მეურნეობა ძლიერ შეირყა და [illegible] მდგომარეობაში იმყოფება.

მაგრამ ეს კრიზისი ყველაზე უფრო ნათლად გამოსჩანს გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობაში. გერმანიას დავალიანებამ იმ მძიმე წერტილს მიაღწია, რომელიც დღითი-დღე არღვევს სამეურნეო ცხოვრებას და მისს საწარმოო ძალებს. აქ პირდაპირ გამოუვალი მდგომარეობა არის შექმნილი გერმანიის მრეწველობისათვის.

1920 წლის ივლისის პირველისათვის მთელი ვალები გერმანიის აღწევდა 265 მილიარდ მარკამდი, ოქროთი, ომამდე-კი გერმანიის ვალები უდრიდა 5 მილიარდს. მარტო მოკავშირეებს გერმანიამ უნდა გადაუხადოს სარეპარაციო გადასახადები 5 ½ მილიარდი გირვანქა სტერლინგი.

ფულის ტრიალმა გერმანიაში შემდეგი ცვალებადობა განიცადა: 1914 წ. მაისის 30-ს გერმანიის ბანკში ირიცხებოდა 1.313 მილ. მარკა ოქროთი, 1920 წ—1,030 მილ. 1918 წ. ნოემბრის 7-ს რეიხსბანკში ირიცხებოდა 2550.3 მილ. მარკა ოქროთი.—ეს იყო უმაღლესი წერტილი რუსეთიდან გამოტანილ ოქროს წყალობით,—1918 წ. 31 დეკემბრის, რუსეთის ოქროს ანტანტაზე გადაცემის შემდეგ—2262.2 მილ. მარკა; 1920 წ. 31 ივლისს ოქრო იყო 1098 მილ. მარ. ამავე დროის გამოშვებულ ბანკნოტების რიცხვი ავიდა 55.8 მილიარდ მარკამდე 1914 წ. კი 2013 მილიონი მარკით გამოშვებული (იხ. ფინ-ნოტარვის დასახელებული წიგნი გვ. 52).

გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტი 1918 წ. უდრიდა 4 589 200 ათას გირვანქა სტერლინგს. (დაახლოვებით 90 მილიარდ მარკას.) აქედან შემოსავალი იყო 758,500 ათასი გირ. სტერლინგი, გასავალი—3,832,700 ათასი. შემდეგ წლებში ფულის კურსის დაცემისა და სარეპარაციო გადასახადების წყალობით ზედმეტად გაიზარდა გერმანიის ბიუჯეტი და მისმა დეფიციტმა შედარებით მოზრდილ რიცხვს მიაღწია.

საინტერესოა გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის შედარება საფრანგეთისა და ინგლისის ბიუჯეტთან. 1918 წელში **საფრანგეთის** შემოსავალი შეადგენდა (ათასი გირვანქა სტერლინგი)—335,145; გასავალი—2,181,484. 1919 წელში შემოსავალი — 452,000, გასავალი—1,976,760, **ინგლისის** შემოსავალი 1918 წელს შეადგენდა 707,235,—გასავალი—2,696,221; 1919 წელში—შემოსავალი—889,021, გასავალი—2,579,301.

ამ ცხრილის მიხედვით განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება საფრანგეთი, რომლის სახელმწიფო გასავალი შვიდჯერ მეტი არის შემოსავალზე 1918 წ. და თითქმის ხუთჯერ შემდეგს წელში. ამ გარემოებით იხსნება ის მოვლენა განსაკუთრებით, რომ საფრანგეთი ყველაზე უფრო დატაცების და შეუბრალებელ პოლიტიკას აწარმოებს დამარცხებულ მხარეების მიმართ. ამ დეფიციტების დაფარვა შესაძლებელი არის ან სესხით, ან გადასახადებით, ან და დამონებულ მხარეების ყვლეფით. კაპიტალისტურმა ევროპამ ყველა ამ საშუალებებს პირობების მიხედვით მიმართა და სცდილობს გამოიყენოს ყოველი მათგანი თავისი ძირგამოთხრილი ბიუჯეტის შესაკეთებლად. ამ პოლიტიკამ გამოიწვია მთელს მსოფლიოში დავალიანება სახელმწიფოების,—შინაური გადასახადების გაძლიერება, რაც განსაკუთრებით მთელი თავისი სიმძიმით მშრომელ ხალხს აწევება კისერზე და საკონტრიბუციო გადასახადების გაფართოვება, რომელსაც მიმართავენ გამარჯვებული მხარეები დამარცხებულთა მიმართ.

დღეს მსოფლიოს კრედიტორი ამერიკა არის, რომელმაც დიდად ისარგებლა საერთაშორისო ომითა და შექმნილი მდგომარეობით და ერთად ერთი გამოვიდა გამარჯვებული საერთაშორისო მასშტაბში ომიდან. დღეს თითქმის მთელი მსოფლიო დავალიანებული არის ამერიკისაგან; მარტო მოკავშირეებმა 3¼ მილიარდი გირვანქა სტერლინგი უნდა გადაუხადონ ამერიკას.

მაგრამ თუ ამერიკას პოლიტიკა უმთავრესად სესხის გაცემაში გამოიხატება და აქედან აღებული პროცენტების სარგებლობაში, საფრანგეთის პოლიტიკა ამ მხრივ აშკარა ყაჩაღურია და მისი ამგვარი პოლიტიკის მსხვერპლი გერმანიის ხალხი შეიქმნა. ჩვენ უკვე შევიყვანეთ იმ საკონტრიბუციო გადასახადის რიცხვი, რომელიც ვერსალის პირობების მიხედვით უნდა გადაუხადოს გერმანიამ მოკავშირეებს. [illegible] განვიხილოთ ის, თუ რამდენად აზიანებს და გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს ეს გაწერილი გადასახადები, რომელიც პერიოდულად უნდა შეიტანოს გერმანიამ, ამ უკანასკნელის ფინანსიური მდგომარეობისა და მთელს სამეურნეო ცხოვრებას.

ამას წინეთ მოსკოვის გაზეთებში მოთავსებული იყო ბერლინელ კორესპონდენტის ცნობები გერმანიის 1922 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის თებერვლის თვეში გამოაქვეყნებინა გაზ. „ბერლინერ ტაგებლატს“. ბიუჯეტი შედგენილი არის დიაგრამების მიხედვით, რომლის თანახმად გერმანიის გასავალი შეადგენს 1922 წელში: 1) სარეპარაციო გადასახადები—187,5 მილიარდი მარკა ქაღალდის ფულით (ან მთელი გასავალი ბიუჯეტის 71 პროც.); 2) არაპირდაპირი გადასახადები—პენსიები ინვალიდებისა და ობოლთათვის—11,2 მილიარდი (4,2 პროც.); 3) პროცენტები სამხედრო ვალის გამო—29,8 (11,2 პროც.) 4) ზარალი—სახელმწიფო მეურნეობას რომ აყენებს რკინის გზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის დანაკლისი—9,2 (3,5 პროცენტი). ეს არის სახელმწიფოზე დაკისრებული არა ნორმალური გადასახადები, რომელიც შეადგენს დაახლოვებით 90 პროც მთელი გასავალი ბიუჯეტისას. ამის შემდეგ იწყება ნორმალური გასავალი, რომელიც უდრის 27,5 მილიარდ მარკას, რაც შეადგენს მთელი გასავალი ბიუჯეტის 10,4 პროც. შედარებით ამ მცირე თანხიდან საერთო მმართველობის გასავლისათვის გადადებულია—11,5 მილიარდი (4,3 პროც.); პოლიციის, არმიისა და ფლოტისათვის—6,6 მილიარდი (2,5 პროც.); კულტურულ მოთხოვნილებებისათვის — 2,3 (0,9 პროც.) და ბოლოს „სოციალური საჭიროებისათვის“ მხოლოდ 7,1 მილიარდი (2,7 პროც.).

მარტო ეს გასავალის ბიუჯეტი, რომ გავითვალისწინოთ ჩვენთვის ნათელი გახდება თუ როგორს მდგომარეობაში არის გერმანიის ფინანსები და მთელი მისი სამეურნეო ცხოვრება, მთელი გასავალის 90-პროც. მიდის დაკისრებულ ვალების ასანაზღაურებლად და ამ გვარად სავსებით სწყდება თავის ნაციონალურ ნიადაგს, იგი სამუდამოდ ეკარგება გერმანიის მრეწველობისათვის. მეორეს მხრით გერმანიას არ აქვს საშუალება ცოტა თანხა გაიღოს თავის შინაური ცხოვრების მოსაწესრიგებლად და ასაყვავებლად. აღსანიშნავია, რომ თავისი კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გერმანიის 65 მილიონიანმა კულტურულმა ერმა მხოლოდ 0,9-პროც. მთელი ბიუჯეტის გასავლისა უნდა გადადვას. ვერსალის საზავო პირობებმა და ამ ნიადაგზე აღმოცენებულმა სარეპარაციო კომისიების მოთხოვნილებებმა და ამ ნიადაგზე აღმოცენებულმა საექსპერტო კომისიების მოთხოვნილებებმა იმდენად შეარყვიეს გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობა და მთელი ფინანსიური მდგომარეობა, რომ ის დღეს გამოუვალ რკალში არის მომწყვდეული და არ აქვს გასაქანი გზა.

უკეთ რომ ვსთქვათ, ამ პირობებში გერმანიის სრული გაკოტრება მოელის. ამ გზით [illegible] ე. ი. ვერსალის საზავო პირობებისა და მეთოდების პირნათლად შესრულება გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებას სრულს კრახამდე მიიყვანს.

მაგრამ ტრაგედია გერმანიის ფინანსებისა და მეურნეობის მარტო ამით არ ამოიწურება. გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს შეადგენს 183 მილიარდი მარკა; სახელმწიფოს შემოსავალი ვერ ჰფარავს გასავლის ერთ მესამედსაც. საიდან უნდა დაჰფაროს ეს დეფიციტი გერმანიის მთავრობამ? მოკავშირეთა კომისიები არ ითმენენ და შემოსვლის დროს უსაზღვრავენ გერმანიას. იანვარ—მარტის გადასახადი 282 მილიონი მარკა ოქროთი მან უკვე შეიტანა. ერთი საშუალება, რომელსაც მიმართა გერმანიის მთავრობამ ამ დეფიციტის დასაფარავად, ეს იყო შინაური იძულებითი სესხი ერთი მილიარდ ოქროს მარკის თანხისა, რომელიც 50 მილიარდს შეადგენდა მაშინ ქაღალდის ფულზე. დანარჩენი დეფიციტის დაფარვას, გერმანია ფიქრობდა ანტანტის კეთილ-გონიერებაზე. თანახმად სარეპარაციო კომისიის მარტის 21-ს ნოტისა გერმანიის 1922 წლის საკონტრიბუციო გადასახადი შეამცირეს დაახლოვებით ერთი მილიარდ მარკამდე ოქროთი, ანგარიშით 1922 წლის განმავლობაში გერმანიამ უნდა გადაიხადოს სარეპარაციო კომისიის ახალი გაწერის თანახმად, სულ 2,170 მილიონი მარკა ოქროთი, აქედან ფულადი 720 მილიონი მარკა ოქროთი და 1 450 მილიონი მარკის საქონელი საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის სასარგებლოდ. მასთანავე სარეპარაციო კომისიამ განუსაზღვრა დრო გერმანიის მთავრობას, თუ როდის რამდენი თანხა უნდა შეიტანოს. იანვრის-მარტის 282 მილიონი უკვე შეიტანა გერმანიამ; აპრილის 15-ს უნდა შეიტანა 18 მილიონი; მაისიდან ოქტომბრამდე თვეს ყოველს თხუთმეტს რიცხვში—50 მილიონი; შემდეგ თვეებ.

პირველი მაისისთვის

ბრძანება

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილებისა.

№ 12.

25 აპრილი 1922 წ. ქ. ტფილისი.

წინადადება ეძლევა ყველა სახლის პატრონებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს და ბინის პატრონებს 1-ლ მაისს—საერთაშორისო პროლეტართა დიდ უქმე დღეს—გაალამაზონ სახლები და ბინები 1-ლ მაისის დილისთვის.

ამ მიზნისთვის გამოყენებულ იქნან სახლებში არსებული ყველა ნოხები, ფერადი მატერიები, ბაირაღები, ყვავილები და სხვა, ხოლო იმ სახლებში, სადაც არის ბაღები, უნდა მოეწყოს დეკორაციები ყვავილ-ფოთლების გირლიანდები.

საღამოს კი სახლების ქუჩის პირის ფანჯრებთან უნდა დაიდგას სანთლები და სხ...

ქ. ტფილისის მ/გ მილიციის უფროსს ევალება რაიონის მილიციის უფროსების საშუალებით თვალყური ადევნოს სწორ-უცვლელად ამ ბრძანების ასრულებას და აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება სახლის პატრონებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს და კერძო პირებს ამ ბრძანების ასრულებაში.

სამმართველოს განყოფილების გამგე,

პრეზიდიუმის წევრი ბ. მაჩაიძე.

სეთის იმ პრეტენზიების განსახილველად, რომელიც შეეხება მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას, ბანდების თავდასხმას და საბოლოო ანგარიშის გასწორებას. ნოტაში აღნიშნულია აგრეთვე პოლონეთის რესპუბლიკის მიერ რიგის ხელშეკრულების დარღვევა.

რუსეთი და ფინლანდია

მოსკოვი, 24 აპრილი. პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ამხ. რიტისმა ბრძანება გასცა მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ და გააძლიერონ თვალ-ყურის დევნება ფინლანდიის საზღვრებზე და პირდაპირ გადაჰკრით მოსპონ უცხოელ ბანდების ყოველგვარი ცდა შემოიჭრან პეტროგრადის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე.

ამხ ბუდიონის გამგზავრება.

მოსკოვი, 24 აპრილი. გომელიდან 21 აპრილის თარიღით იტყობინებიან, გომელში ჩამოვიდა ამხ. ბუდიონი, რომელსაც ზეიმით შეეგება დივიზია და ქალაქის მცხოვრებლები. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ამხ. ბუდიონიმ განაცხადა კმაყოფილებით ის სათანადო ყურადღება, რომელსაც დივიზიას აქცევს მისი შეფი გომელის გუბერნიის აღმასკომი. ამხ. ბუდიონი გაემგზავრა ჯარის ნაწილების დასათვალიერებლად.

რუსეთის მემორანდუმი.

ნაუენი. აპრილის 23-ს დაარსებულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი კომისია რუსეთის მემორანდუმის მოსასმენად. ოლანდიასა და მცირე ანტანტის სახელმწიფოთ ამ კომისიაში დაუთმეს თითო-თითო ადგილი. კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია შანცერი. კომისიას დავალებული აქვს გამოარკვიოს ზოგიერთი მუხლები რუსეთთან მოლაპარაკებაში. გერმანიას ეცნობა არ გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები ამ კომისიის სხდომებზე, იტალიის დელეგაციის აზრით რუსეთის მიერ ომამდე არსებული ვალების ცნობით მრავალი დაბრკოლება იქნა გადალახული.

ბერლინი, 24 აპრილი. გაიმართა ექსპერტების კრება რუსეთის მემორანდუმის ტექსტის განსახილველად.

თარგმანი არ არის სწორი

ბერლინი, 24 აპრილი. ჩიჩერინმა განაცხადა ლლოიდ ჯორჯს, რომ მემორანდუმის ტექსტი სწორედ ვერ არის თარგმნილი. ჩადენილია შემდეგნაირი შეცდომა, თარგმანის ტექსტში ნათქვამია: „რუსეთი პირობით მოითხოვს ომის დროინდელ ვალების შემცირების მოთხოვნილების მიღებას, ნამდვილად კი ორიგინალში სწერია შემდეგი: „რუსეთი პირობით მოითხოვს მოკავშირეთა მოთხოვნილებათა მიღებისათვის ომის დროინდელ ვალების გაუქმებით“ ექსპერტების კომისიამ შეადარა რუსული თარგმანის ტექსტი და გამოარკვია, რომ რუსულ ტექსტშიდაც ნათქვამია „შემცირება“ და არა „გაუქმება“.

საპარბორროტო ხასიათი

ბორდო, 24 აპრილი. დელეგაციის სხდომაზე, შვედიის და შვეიცარიის დელეგატების თანდასწრებით, შანცერმა განაცხადა, რომ რუსეთის მემორანდუმმა „დაკარგა თავისი საპარბორროტო ხასიათი“ და ამიტომ რუსეთის დელეგაცია არ უნდა სცდილობდეს მის გავრცელებას. გადაწყვეტილ იქნა 16 საათისათვის მოეწვიათ ექსპერტების სხდომა რუსეთის საქმეების გასარჩევად. იაპონიის წარმომადგენელმა ბარონ იუნესმა, სხდომის დამთავრებისას დელეგატების ყურადღება მიაქცია რუსეთის დელეგაციის მეთაურის ჩიჩერინის მოქმედებას, რომელმაც შემოიტანა ტექსტი მემორანდუმისა ყველა მთავრობისაგან მიღებული, ხოლო რომელმაც შემდეგ მოითხოვა მისი უკანვე წაღება.

საფრანგეთისათვის მიუღებელია

ნაუენი, 24 აპრილი. საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ რუსეთის პასუხი, ისე როგორც გერმანიის ნოტა მოკავშირეთა მოთხოვნილებებზე საფრანგეთისათვის მიუღებელია. სიტყვიერი ცნობა ომამდის არსებული ვალებისა, პროცენტების გადახდის გარეშე, არსებითად მხოლოდ უბრალო ფარსია, რადგანაც რუსეთი ამის სამაგიეროდ თხოულობს ახალი სესხის მიცემას, რომლის პროცენტების გადახდასაც ვალდებულებს 50 წლის შემდეგ 15 წლის მორატორიუმის შემდეგომ. ამგვარსავე მოსაზრებას აყენებს ამერიკელი ცნობილი ფინანსისტი ვარდელინი, რომელსაც აკვირვებს „რუსების დაუკვირვებლობა“, რომლენიც მალულობის თამაშობენ და ეხუმრებიან ძალიან სერიოზულად დაინტერესებულ სახელმწიფოთ.

ინციდენტი

ბერლინი, 24 აპრილი. რუსეთის დელეგაცია, მიუხედავად წინასწარი განცხადებისა, რუსეთის დელეგაციის მემორანდუმის ტექსტის განხილვის მიზეზით, რომელშიც ლაპარაკია ვერსალის ხელშეკრულებაზე და კანის დადგენილებებზე, მაინც მოვიდა რუსეთის საქმეების გამხილველ კომისიის სხდომაზე. სეიდუმ და საფრანგეთის დელეგატებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი. მათ გაყვნენ ექსპერტები. შემდეგ წავიდნენ იაპონიის დელეგატები. თავმჯდომარე ფენარი იძულებული შეიქმნა დაეხურა სხდომა.

ბორდო. 24 აპრილი. რუსეთის დელეგაცია აგიტაციის მიზნით არიგებს გენუის ქუჩებზე თავისი მემორანდუმის ტექსტს.

პარიზი. 24 აპრილი. (საფრანგეთის რადიო). გაზეთ „ეხო დეპარის“ ცნობით ის მიზეზი, რომელმაც აიძულა ბართუ წინადადება მიეცა სეილსათვის და ექსპერტებისათვის დაეტოვებიათ სხდომის დარბაზი, მდგომარეობს იმაში რომ ექსპერტების მაგიდაზე აღმოჩენილ იქმნა ერთი ეგზემპლიარი რუსეთის მემორანდუმისა, რომელშიც აღნიშნულია შეუფერებლობა ლონდონის ექსპერტების მოხსენებისა კანის დადგენილებებთან. რუსეთის მემორანდუმი კატეგორიულად აღნიშნავს ლონდონის ექსპერტების მოხსენების მიუღებლობას დასასრულ მემორანდუმში რევოლიუციონურ მოწოდებას აქვს ადგილი. ეს დოკუმენტი დადებულ იქნა მაგიდაზე მაშინ, როდესაც დელეგატები ჯერ კიდევ არ იყვნენ შეკრებილნი.

პირველ ყოვლისა რუსეთის ცნობა

ნაუენი. 24 აპრილი. კანცლერ ვირტმა იტალიის გერმანელ ელჩის მიღების დროს განაცხადა, რომ თუ დიდ სახელმწიფოებს მართლაც სურთ ევროპის აღდგენა, მაშინ პირველყოვლისა აღდგენილ უნდა იქნეს რუსეთი და გერმანია.

ბორდო. 24 აპრილი ზოგიერთმა პარტიებმა და რუსულ ჯგუფებმა მიმართეს პროტესტით კონფერენციის მდივანს, რომელშიაც ისინი პროტესტს აცხადებენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლად ცნობის წინააღმდეგ. ისინი აცხადებენ თავიანთ პროტესტში, რომ „ერცეთი კანონიერი ნამდვილ-რუსული მთავრობა არ იცნობს იმ ხელშეკრულებას, რომელსაც აქ სდებენ დროებით ხელისუფლების სათავეში მომხდარნი“.

დროა ამოირჩიონ.

ნაუენი. 24 აპრილი. საფრანგეთის პოლიტიკას გენუაში უცქერიან, როგორც ახალ ცდას კონფერენციის ჩაშლისას. ფიქრობენ, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ჟამად შექმნილია ისეთი მდგომარეობა, როდესაც საფრანგეთმა უნდა ამოირჩიოს ან ძალადობის პოლიტიკის განგრძობა, ან და იმ პოლიტიკის წარმოება, რომელიც ცნობილია თვით გენუის კონფერენციის მიერ.

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გარშემო

გერმანია და ანტანტა

ბერლინი. 24 აპრ. კანცლერი ვირტი შემდეგ ნაირად ახასიათებს მოკავშირეთა პოლიტიკას გერმანიის მიმართ. გამართლდა ის შიში, რომელსაც ჩვენ ვფიქრობდით, რომ ლონდონის მემორანდუმს მიზნად ექნება დასახული გერმანიის რკალივით შემორტყმა მისი ეკონომიურად გამოფიტულ მდგომარეობაში ჩაყენება ახალი ვერსალის ხელშეკრულების შექმნით. ასეთ პირობებში გერმანიის დელეგაციას ვალად ედებოდა გერმანიის ინტერესების დაცვა. ეს მისი მოვალეობა იყო. სხვათაშორის ვირტმა განაცხადა: ყველაზე უფრო სერიოზული სწორედ ის საკითხებია, რომელსაც არ იხილავს გენუის კონფერენცია.

ბართუს წერილი

ბორდო. 24 აპრ. ბართუმ მიმართა კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტას წერილით, რომელსაც 22 თებერვლის თარიღი აზის. წერილში იგი აღნიშნავს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ დაარღვია კანის დადგენილებანი და აგრეთვე გერმანიის სხვა ვალდებულებანიც, ბართუ აგრეთვე აღნიშნავს, რომ რაპალოს ხელშეკრულებამ დაარღვია ურთიერთობისადმი ნდობა, რომელიც საჭირო და აუცილებელი იყო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რომლის განმტკიცებაც შეადგენდა გენუის კონფერენციის მთავარ მიზანს.

პუანკარეს პოლიტიკა.

ნაუენი. 24 აპრილი. საფრანგეთის სოციალისტური პრესა კიცხავს პუანკარეს ობსტრუქციონისტულ პოლიტიკას. მიუხედავად ამისა პრესის ნაწილი დიდ კამპანიას აწარმოებს გერმანიის წინააღმდეგ. გაზეთი „ფილერი“ მოითხოვს „რურის რაიონში რეპრესიული ზომების“ რეჟიმის დაწესებას, ხოლო „ეხო დეპარი“ აცხადებს, რომ საფრანგეთმა შეცდომა ჩაიდინა, როდესაც ამდენი ხნის განმავლობაში არ გამოიწვია თავის წარმომადგენლები გენუიდან მაშინ, როდესაც ეს უნდა მომხდარიყო დაუყონებლივ რაპალოში ხელშეკრულების დადებისთანავე. პარიზის პრესა კიცხავს ბართუს იმისთვის, რომ იგი იცდიდა მთელი ერთი კვირა, სანამ არ გადადგა ის ნაბიჯები, რომელსაც ახლა იგი სჩადის.

საფრანგეთის „უფლებები“

ბერლინი. 24 აპრილი. პუანკარე უარყოფს იმ ხმებს, თითქოს საფრანგეთს სურდეს მიმართოს სამხედრო ზომებს გერმანიის ჩასაგონებლად. პუანკარე არწმუნებს ყველას იმაში, რომ საფრანგეთი მზად არის გასწიოს თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოებთან მხოლოდ იმ ერთი აუცილებელი პირობით, თუ საფრანგეთის უფლებები ენერგიულად დაცული იქნება.

საფრანგეთი იმუქრება.

ბერლინი. აპრილის 24 ს სტიდი გაზ. „ტაიმსში“ იუწყება: საფრანგეთი და ზოგიერთი სხვა დელეგაციები დასტოვებენ გენუას თუ ლოიდ ჯორჯი კატეგორიულ პროტესტს არ განაცხადებს „ბოლშევიკების მოთხოვნილებათა“ წინააღმდეგ.

შიშს დიდი თვალები აქვს.

ბერლინი. აპრილის 24-ს გაზეთი „დეილი-მეილი“ ამტკიცებს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში არსებობს 5 საიდუმლო მუხლი, რომელიც ეხება გერმანიით პოლონეთისა, რუმინიისა და სხვა სახელმწიფოთათვის სამხედრო მასალის გადატანის საქმეს, მაგრამ ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს გერმანიის მთავრობა, რომელიც აცხადებს, რომ ხელშეკრულებაში ასეთ რამეს ადგილი არა აქვს. ყოველივე ეს მოგონილია რაპალოს ხელშეკრულების პროვოკაციისათვის.

ბორდო, 24 აპრილი. ინგლისური გაზეთ „დეილი ნიუზ“-ის ცნობით, ჩიჩერინმა მოსკოვიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც მას აუწყეს, რომ „წითელი არმია მზად არის ყოველგვარ შემთხვევებისთვის. რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან მიღებული ცნობების მიხედვით აგრესიული მოქმედება მიმართულია მხოლოდ პოლონეთისა და რუმინიისაკენ.

პარიზი, 24 აპრილი. გაზეთი „ტაიმსი“ ამტკიცებს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში არის მუხლები, რომელიც შეიცავს გერმანიის ვალდებულებას არ გაუშვას სამხედრო იარაღი რუმინიისა, პოლონეთისა და სხვა სახელმწიფოთათვის. თავის მხრივ რუსეთი ვალდებულობს მისცეს კრუპის ქარხანას კონცესიები რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო მასალის დასამზადებლად.

პარიზი, 24 აპრილი. გაზეთ „პტი-პარიზიენი“-ს ცნობით რაკოვსკიმ ჟურნალისტებთან ბაასის დროს, მათ შეკითხვაზე—არსებობს თუ არა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში საიდუმლო მუხლები, გასცა ირიბი პასუხი რითაც გამოიწვია საერთო გაკვირვება, რადგან ერთი დღის წინ მან [illegible] სხვაგვარი კატეგორიული განცხადება გააკეთა.

ვირტის პროტესტი.

ლონდონი 24 აპრილი. ვირტმა მიმართა ფაქტას პროტესტით ბართუს მიერ კონფერენციის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილის შესახებ, რომელშიც საფრანგეთის წარმომადგენელი ბრალს სდებს გერმანიის დელეგაციას ყალბი ცნობების მიწოდებაში, ვირტი აღნიშნავს, რომ იგი ეხება იტალიას.

მოკავშირეთა „კონტრ-შეტევა.

პარიზი 24 აპრილი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მოკავშირეთა და მცირე ანტანტის დელეგაციის მეთაურებმა მიიღეს გერმანიის პასუხის პროექტი, რომელიც შემუშავებული იყო ბრიტანეთის იურიდიულ ექსპერტის მიერ. მიღებულ იქნა ბართუს შესწორება, ლოიდ ჯორჯის მიერ მოწონებული,— რომლითაც უფლება ეძლევა სახელმწიფოთ განიხილონ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება. მიღებულ იქნა შანცერის მეორე შესწორება, რომლითაც იტალიას ინციდენტი ამოწურულად მიაჩნია. ამავე სხდომაზე ბრატიანომ მცირე ანტანტის სახელით მოუწოდა ყველა სახელმწიფოთა შორის უფრო მტკიცე კავშირის შექმნისაკენ, რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების საწინააღმდეგოთ. ბრატიანომ იმედი გამოსთქვა, რომ მოკავშირეთა კონტრ-შეტევას ექნება ევროპისათვის სასარგებლო შედეგი და იგი გააქარწყლებს რაპალოში დადებული ხელშეკრულების საშინელ ხასიათს.

ბორდო 22 აპრილი. გერმანიის ნოტაში პასუხში კმაყოფილება არის გამოთქმული გერმანიის უარის შესახებ პოლიტიკურ კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე. გერმანიის ქანიანობას შეეძლო გამოეწვია უფრო სერიოზული შედეგები. ნოტა აღნიშნავს, რომ არავინ არ ფიქრობდა თუ ლონდონის მოხსენება მიიყვანდა გერმანიას რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულების დადებამდე. ლონდონის მოთხოვნილებათა შეცდომას ან და არა პირდაპირი [illegible] რუსეთის დელეგატებთან ოფიციალური მოლაპარაკებისა, შეეძლო გერმანია მიეყვანა ამ მდგომარეობამდის, რომ მას მოეთხოვნა მისი განხილვა კომისიის სხდომაზე. ხოლო ის კი რაც მოხდა არ შეიძლება ახსნილ ან გამართლებული იქნეს. სახელმწიფონი მთელ პასუხისმგებლობას გერმანიის არალოიალურ მოქმედებაში სდებენ თვით გერმანიის დელეგაციას, რომელიც ამ გვარი მოქმედებით აბრკოლებს საერთაშორისო თანამშრომლობას ევროპის აღდგენისათვის.

ლლოიდ ჯორჯი მზადაა ყოველივესთვის.

პარიზი. 24 აპრ. ლლოიდ ჯორჯმა მოიწონა ბრატიანოს განცხადება მთლიანი მოქმედებისა რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების საშინელი ხასიათის გასაქარწყლებლად და გამოსთქვა სურვილი ყველა მოკავშირეთა ურთიერთ შეთანხმებისა. ამასთან ლლოიდ ჯორჯმა, კატეგორიულად აღნიშნა, რომ ამ შეთანხმებამ უნდა მიაღწიოს მშვიდობიანობამდის და არა ანტაგონიზმის გაღრმავებამდე. ამისათვის იგი ყოველივესთვის მზად არის და აცხადებს, რომ ინგლისის დემოკრატია მიისწრაფვის მხოლოდ მშვიდობიანობისაკენ.

ახალი დაბრკოლებანი.

ნაუენი. 24 აპრილი. საფრანგეთის დელეგაციის [illegible] გერმანიის პასუხში ქმნის ახალ დაბრკოლებებს. ბართუმ მიმართა პროტესტით ფაქტას გერმანიის ნოტის ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ 9 (ცხრა) სახელმწიფომ უარყონ რაპალოს ხელშეკრულება. ბართუს ამ განცხადებამ სენსაცია გამოიწვია გენუაში.

კომინტერნში

მუშათა საერთაშორისო ფრონტი. ბერლინის შეთანხმების რატიფიკაცია.

მოსკოვი, 23 აპრ. 20 აპრილის სხდომაზე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დამტკიცდეს ის შეთანხმება, რომელიც ბერლინში მოხდა სამ ინტერნაციონალთა შორის, ცხრათა კომისიაში გაგზავნილი იქმნან: კლარა ცეტკინა, ფროსსარი და რადეკი, კანდიდატებათ ამოირჩიეს გეკერტი და ბუხარინი.

ი 60—60 მილიონი. ამ გვარადვე სა-ონელიც უნდა მიერთმია თავიანთ ბა-ონებისათვის განსაზღვრულ დროებში. ხ. დაწვრილებით „პრავდა“ № 75). ამ გვარად ანტანტამ ერთგვარი „სკიდკა“ გაუკეთა გერმანიას. მაგრამ უ საკითხს ფაქტიური მდგომარეობის რივ გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ ალი გაწერილი თანხაც პირდაპირ შეუსრულებელი არის ფიზიკურად გერმანიისათვის. ანტანტა აფრთხილებს გერმანიას, თუ ეს ყოველ თავის დროზე არ გადაიხდის შეწერილ გადასახადს, დაჯარიმებული იქნება ზედმეტი ლიარდი მარკის გადახდით.

ამ პირობების შესასრულებლად ანტანტამ დანიშნა სპეციალური საკონტროლო კომისია და მოითხოვა ალი დამატებითი გადასახადის გაწერა, წლიწადში 60 მილიარდი ქაღალდის მარკა. ეს ახალი გადასახადი ემატება იმ 100 მილიარდ გადასახადს, რომელიც ამავე ანტანტის მოთხოვნით მიღო რეიხსტაგმა წარსულში. ამ გვარად გერმანიის მშრომელი ხალხი, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით აწვება ეს გადასახადები კისერზე, გაუმაძღარ მოკავშირეთა საექსპლოატაციო ობიექტად დება. გამოანგარიშებით გერმანიის მუ-ის ყოველ თვიურ შემოსავალს შეადგენს 2000 მარკა, ამ გადასახადების მიხედვით მას ეწერება კისერზე თვიურად 000 მარკა, ე. ი. ნახევარი მთელი მი-ჯამაგირისა, ეს კი ყოვლად შეუძლებელია განხორციელებული იქმნეს.

მეორეს მხრით კომისიის მიერ დაწესებული შეღავათი არსებითად არ აძლევს შემსუბუქებას გერმანიას. გერმანული მარკა დღითი-დღე ეცემა და ამის მიხედვით წინასწარ შედგენილი გადასახადიც იზრდება. გერმანია იძულებულია უცხო ვალიუტაზე იხადოს ვალები. ვალიუტა კი დღითი-დღე სცემს რკის ფას. ანტანტის ვალიუტა მაღლა სდგას და არ აკეთებს ისეთს სახიფათო ცვალებადობას, როგორც გერმანის მარკა, რომელიც 75 ჯერ დაეცა.

ბერლინის ბირჟაზე ამერიკული დოლარი ღირდა 1922 წ.

2 იანვარს 187 მარკა; 1 თებერვალს 204 მარკა. 1 მარტს 227 მარკა. 7 მარტს 260 მარკა. 14 მარტს 275 მარკა. 23 მარტს 327 მარკა.

ეს ბირჟის ცნობა დოლარის კურსის. ასეთი შეუჩერებელი აწევის გერმანიის ბაზარზე ნათელს ყოფს იმ დებულებას, რომ სარეპარაციო კომისიის „სკიდკა“ ვერავითარი შეღავათი არის გერმანიისათვის.

არსებითად ახალი გადასახადების გაწერა გერმანიის სუვერენული უფლებების შელახვაა და მისი დამოუკიდებლობას ზღუდავს, როგორც ეს აღნიშნა ამერიკულმა პრესამ.

გერმანიის მეურნეობისა და მთელი ეკონომიური ცხოვრების თანამედროვე პირობები გვეუბნება, რომ ის ფიზიკურად აუსრულებელ მოვალეობის წინაშე სდგას. გერმანიას არ აქვს შეძლება და საშუალება სავსებით აასრულოს ანტანტის მიერ დაკისრებული მოვალეობანი, არ შესრულება კი ნიშნავს მოკავშირეების განრისხებას და მდგომარეობის გართულებას. ფაქტიურად კი ეს მოთხოვნილება დაუძლეველია ამ გვარად გერმანია გარდუვალ რკალში არის მომწყვდეული, რომელშიაც ინგრევა და იმსხვრევა მთელი მისი დოვლათი და სიმდიდრე.

მთელი ეს სიმძიმე გერმანიის დავალიანებისა მშრომელ ხალხს აწვება გადასახადებით. შინაური გადასახადები, რომელიც შემოიღო და კიდევ უნდა შემოიღოს ანტანტის დაკანონებული მოთხოვნით გერმანიის მთავრობამ, მშრომელთა კლასის ზურგიდან უნდა იქმნეს აკრეფილი.

სიმონ ხუნდაძე.

კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდება.

მოსკოვი. 23 აპრ. კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრ. კომიტეტმა მიმართა მთელი ქვეყნების მუშებს მანიფესტით ბერლინში სამ ინტერნაციონალთა შორის მომხდარი შეთანხმების შესახებ. მანიფესტში ნათქვამია სხვათა შორის, რომ მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნის საქმე დიდ საფრთხეშია, რადგანაც მეორე ინტერნაციონალი ცდილობს ჩააქროს ეს საქმე დასაწყისშივე. ეს მტკიცდება ბერლინის კონფერენციის სინამდვილით საკმაოთ: მე 2-რე ინტერნაციონალის მეთაურებმა უარყვეს შეკრება მთელი ქვეყნის მუშათა კონგრესისა და აგრეთვე ჩვენი წინადადება ვერსალის ხელშეკრულების გადათვალიერების შესახებ, და ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული ქვეყნის მფლობელები შეგროვდნენ გენუაში და ცდილობენ იმპერიალისტური ომის მთელი შედეგების სიმძიმე მუშათა კლასს მოახვიონ თავზე.

რუსეთი

საეკლესიო განძეულების შეკრება.

-**კიევო პეჩორის ლავრის** განძეულობის გამოტანა დასრულდა. სხვა მრავალ ძვირფას ნივთებიდან გამოტანილია სამოსელი მოფენილი 136 ბრილიანტით, მათ შორის 46 მსხვილი. შეუდგნენ სოფიის საკრებულო განძეულობის გამოტანას.

ხარკოვი, 10 აპრ. ბლაგოვეშჩენსკის მონასტერიდან გამოიტანეს 200 მილიარდი მანეთის ძვირფასი ნივთები.

ჩელიაბინსკი, 6 აპრ. ჩელიაბინსკში ეკლესიიდან გამოიტანეს 1 ფუთი და 20 გირვანქა ვერცხლი. გამოტანა გრძელდება.

ტროიცკში ოთხი დღის განმავლობაში გამოტანილია 30 ფუთი ვერცხლი.

კურსკში, 11 აპრ. შეაგროვეს 18 ფუთი ვერცხლი და რამდენიმე მისხალი ოქრო. ნივთების გამოტანა უინციდენტოთ მოხდა.

ვორონეჟი, 12 აპრ. თავის ნებით ეკლესიიდან გამოიტანეს და მისცეს 8 ფუთი და 30 გირვანქა ვერცხლი, 10 მარგალიტის სამკაული და ძვირფასი ქვები.

ტულა. 5 აპრ. გამოტანილია 195 ფუთი 37 გირვანქა და 54 მისხალი მოოქრული ვერცხლი. 85 მისხალი ოქრო, 70 ბრილიანტი და 187 მანეთის ვერცხლის ფული.

ნიჟნე ნოვგოროდი. 4 აპრ. ეკლესიიდან გამოიტანეს 10 ფუთი 16 მისხალი ძვირფასი ნივთები.

ახალი ამბები

— **თეატრის გაქურდვა**. რუსთველის თეატრში მოიპარეს გადასათამაშებელი მითელები. სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებულ ზომებით ყველა მითელები აღმოჩენილი იქნა. გამქურდველები კი აღმოჩნდნენ ვინმე ბელოიანცი და გოლდერიდი, რომელნიც თავის ჩადენილ დანაშაულში გამოტყდნენ. მითელები დააბრუნეს.

— **საკურორტო საქმეები**. ბორჯომ აბასთუმნის რაიონში [illegible] საკურორტო საქმეების გამო, გაემგზავრა სპეციალური კომისია ამ. ზანდუკელის მეთაურობით. მიმდინარე წელს ბორჯომ-აბასთუმნის რაიონის გარდა მოწყობილი იქმნება შემდეგი კურორტები: პატარა ცემი, დიდი ცემი და წაღვერი.

— **მუშების უფასო წამლობა**. 30 000 მანეთი (ოქრო) გადადებულია 400 უფასო ბინების მოსაწყობად მუშათა და მოსამსახურეთათვის, რომელთაც უფასოდ უწამლებენ საქართველოს კურორტებზე.

— **პარტახტიანი სახადი და ყვავილი**. ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, 8 აპრილს ქალაქს საავადმყოფოებში პარტახტიანი სახადით ავად ყოფილა—178, ყვავილით—17.

— **სასახლის ქუჩის შეკეთება**.. სანიტარულ-ტექნიკურ-აღმშენებლობის კომუნალურ მეურნეობასთან არსებული გზა-განყოფილება შეუდგა სასახლის ქუჩის ქვაფენილის შეკეთებას.

— **მიბაძვის მაგალითი** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის კომიჩეკის მიერ გასულ მარტის თვის განმავლობაში წითელ არმიელთა სასარგებლოდ გადაიდო 3.393,000 მანეთი.

— **სასწავლებათაშორისო განტვირთვის და ფილტრაციის კომისია**. ტფ. ქალაქის აღმასკომთან არსებულ სასწავლებათაშორისო განტვირთვის და ფილტრაციის კომისია გაუქმებულია. კომისიის საქმეთა ლიკვიდაცია უკვე დაიწყო.

— **ტფილისის ბირჟა**. 24 აპრილს ტფილისის ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოიხატ. შემდეგში:

	(ათ. მან.)
ოსმალეთის ოქროს ლირა	835
ქაღალდის ლირა (ბანკნოტი)	175

დიდი მოთხოვნილებაა შაქარზე და ფქვილზე სომხეთიდან და ბაქოდან.

სამხატვრო ქრონიკა

— **ეფემია მესხის იუბილე**. დამსახურებულ ქართულ თეატრის მსახიობ ქალის ეფემია იუბილეის გადახდა დანიშნულია მაისის 14 ს. ეფემია მესხი ორმოც წელზე მეტია, რაც ქართულ სცენაზე მსახურობს და ქართულ თეატრის წინაშე დიდი ამაგიც მიუძღვის. ეფემია მესხი კარგა ხანია ავადმყოფობის გამო სცენაზე არ გამოსულა. იუბილეის პროგრამა ამ დღეებში გამოქვეყნდება.

— **ნ. კოლხიდელის საღამო**. გუშინ სახელმწიფო მცირე თეატრში მსახიობ ქალის ნ. კოლხიდელის საღამო შესდგა. წარმოდგენილი იქნა პიესა „სტუმარი“.

— **„ჰამლეტ“-ის ახალი დადგმა**. მაისის 15-ს სახალხო სახლის სცენაზე, ვახტანგ გარრიკის რეჟისორობით ქართველ მსახიობთა საუკეთესო ძალების მონაწილეობით სრულიად ახალი ტრაქტოვკით და ახალი მიზანსცენებით დადგმულ იქნება შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“. ამ წარმოდგენაზე პირველად დადგმება ის სცენები, რომელიც ჯერ ქართულ სცენაზე არ დადგმულა. საერთოდ პიესა დადგმული იქნება ორიგინალური გეგმით.

— **მეცხრამეტე ლიტერატურული ხუთშაბათი**. ხელოვნების სასახლეში, სერგ. ქ. № 13. აპრილის 27-ს, საღამოს სრულ რვა საათზე, კონსტანტინე გამსახურდია წაიკითხავს: ლიტერატურის ისტორიის პრობლემები. ბილეთები შესავალთან გაიყიდება.

— **ქართული ბალეტი დღეს**, ოთხშაბათს, აპრილის 26-ს საზოგადოების თხოვნით ქართულ კლუბში (სასახლის ქ.) განმეორებულ იქნება ქართული ბალეტი „ვოგიას სიზმარი“ ბალეტში ჩართულია: ქართ. მთიული და კავკასიური ცეკვები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში. ეს ბალეტი პირველად დაიდგა სახელმწიფო ოპერის თეატრში და ხალხიც აუარებელი დაესწრო.

საქარ. სახალ. კომისართა საბჭ. საინფ. განყოფილების ბიულეტენი

ცენტრალურ აღმას. კომიტეტში.

ლტოლვილების შესახებ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით, აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს გაეხსნა სათანადო კრედიტი ბათომში თავმოყრილ ლტოლვილთა შორის გავრცელებულ სახადთან საბრძოლველად. ვიდრე აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭო თავის თავზე აიღებდეს ყოველივე ხარჯებს, წინადადება მიეცა საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატს მიაწოდოს სურსათი აჭარისტანის საავადმყოფოებს.

ბერძნების გამგზავრება. წინადადება მიეცა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს დაეჩქაროს ნებართვის აღება ბათომში დაგროვილ იმ ლტოლვილ ბერძნებისათვის, რომელნიც მიემგზავრებიან საზღვარ-გარეთ

საფინანსო კომისია (ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, რომელსაც ევალება საერთო ფინანსიურ საკითხების გადაწყვეტა და საერთო რესპუბლიკის ფინანსიურ პოლიტიკის ხელმძღვანელობა. კომისიაში შედიან: ამხ. მ. ტოროშელიძე თავმჯდომარეთ და წევრებათ: ამხ. სვანიძე და კაკაბაძე.

სარევიზიო კომისია. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა აგრეთვე ამხ. მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით სარევიზიო კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულების ყოველმხრივი ფაქტიური რევიზიის გაწევა.

დანიშვნა. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი 12 აპრილის სხდომის დადგენილებით ამხ. გ. სტურუა დაინიშნა საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილეთ რუსეთში.

სახალხო კომისართა საბჭოში.

ხიდი მდინარე რიონზე. სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა ფოთში მდინარე რიონზე ხიდის აშენებისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა 65,000 მან. ოქროს რაოდენობა. ხიდი უნდა გაკეთდეს ქალ. ფოთის აღმასრულებელ კომიტეტის საშუალებით, რისთვისაც ნება მიეცა საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს მისცეს მას 5,000 მან. ოქროთი.

ზუგდიდის მაზრაში.

ეკონომიური მდგომარეობა. გასულ წელს ზუგდიდის მაზრაში მოსავალი ძლიერ ნაკლები იყო და ისიც ნედლად იქნა მოწეული. გარდა ამისა დიდი ნაწილი მოსავლისა მცხოვრებლების მიერ გადაცვლილ იქნა სხვა პირველ საჭიროების საგნებზე. ამრიგად მოსალოდნელია სიმშილობა თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები. სასურსათო კრიზისს აძლიერებს კიდევ ის გარემოება, რომ მაზრა სავსეა დამშეულებით, რომელნიც იძენენ სიმინდს და ითხოვენ მაზრიდან გატანის ნებართვას. ამისათვის ვიდრე საკმაო სიმინდი არ იქნება დამზადებული, სამაზრო კომიტეტის მიერ აკრძალულია მაზრიდან სურსათის გატანა განსაკუთრებულ ნებართვის მიუღებლათ.

სასურსათო გადასახადი. სასურსათო გადასახადის აკრეფა სასურველად ტარდება და ამ მოკლე ხანში დამთავრდე-

პარტიული მუშაობა. პარტიულ მუშაობას მაზრაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. მოწყობილია აგიტ-პუნქტები და კომიაჩეიკები, რომელთა მუშაობით ხალხი მეტად კმაყოფილია. მშრომელი მასსა ეტანება პოლიტიკურ განვითარებას და დარწმუნებულია, რომ მათი ერთად ერთი მხსნელი საბჭოთა წყობილებაა. ყოველ უქმე დღეებში ქალაქში და სოფლად ეწყობა მიტინგები მომენტის განსამარტებლად. თემებში და უბნებში საპასუხისმგებლო პოსტებზე დაყენებულია საიმედო ამხანაგები და მუშაობა სწარმოებს სამაზრო ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით.

მიწის საკითხი ხალხი მეტად დაინტერესებულია მიწის საკითხის გადაწყვეტაში, ვინაიდან ყანების დათესვა მოახლოვებულ ა და უმიწაწყლო მასსა კი ჯერ გაურკვეველ მდგომარეობაშია. საჭიროა ამ საკითხის მალე გადაწყვეტა.

მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა. სამაზრო აღმასკომის და თემების მოსამსახურენი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ვინაიდან დიდიხანია იგინი ჯამაგირებს არ ღებულობენ. აძლევენ მხოლოდ ჯამაგირის ანგარიშში მცირე ავანსები. საჭიროა მიექცეს ამას დიდი ყურადღება.

საბავშვო სახლი. განზრახულია ზუგდიდში დაარსდეს საბავშვო სახლი, რომლისათვისაც უკვე გამოძებნილია საჭირო შენობა, საჭიროა მხოლოდ ინვენტარი. ამის შესახებ აღმასკომი შუამდგომლობს ცენტრის წინაშე, რათა გადაცემულ იქნას ბავშვთა სახლისთვის ის ინვენტარი რომელსაც, არ ექნება სამუზეუმო მნიშვნელობა. ტახტების დამზადება კი დაევალა ეკონომიურ განყოფილებას.

მილიციის გაჯანსაღება. ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა წინადადება მისცა შინა მმართველობის განყოფილების გამგეს ამხ. ცომინტიას, რათა ათი დღის განმავლობაში მოაწესრიგოს მაზრის და რაიონის მილიციის სამმართველოები და გამოძებნოს მილიციისათვის შესაფერი პირები.

განყოფილებების შეერთება. აღმასრულებელმა კომიტეტმა სასურველად სცნო ზოგიერთი განყოფილებები, როგორც მაგალითად გზატკეცილების დისტანციის, სატყეო კომიტეტის, ეკონომიურ განყოფილების და კომუნალური მეურნეობის, აღმასრულებელ კომიტეტის ერთ-ერთ განყოფილებად შეერთება, რის შესახებაც აღიძრა სათანადო შუამდგომლობა.

გზების შეკეთება. ეკონომიურ განყოფილებას წინადადება მიეცა სასწრაფოდ შეუდგეს ყველა გზების და, განსაკუთრებით, სენაკის გზის შეკეთებას.

დადგენილება № 3

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რევოლუციონური ტრიბუნალების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

რევოლუციონური ტრიბუნალების დებულების მე-2 მუხლის განსავითარებლად, მე 3, 40, 47—61 მუხლების შესაცვლელად და დასამატებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსდეს ქ. ტფილისში აღმოსავლეთ საქართველოს რევოლუციონური ტრიბუნალი.

შენიშვნა: ქ. ქუთაისსა და ბათომში არსებულ რევოლუციონურ ტრიბუნალებს ეწოდოს: პირველს—დასავლეთ საქართველოს რევოლუციონური ტრიბუნალი, ხოლო მეორეს აჭარისტანისა.

2. რევოლუციონური ტრიბუნალი შესდგება მუდმივი თავმჯდომარისა და ხუთი წევრისაგან.

3. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტრიბუნალების მოწყობა განისაზღვრება აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან შეთანხმებით კონსტიტუციის საფუძვლებზე და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებით.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტ. აღმასკომთან დაარსდეს უზენაესი რევტრიბუნალი, როგორც საკასაციო ტრიბუნალი, როგორც უახლოესი ზედამხედველობის ორგანო, საქ. სოც. საბჭ. რესპ. ტრიბუნალებისათვის და როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთათვის. უზენაეს რევტრიბუნალს შეადგენს—თავმჯდომარე, წევრი, მომხსენებელი და ხუთი წევრი.

5, უზენაესი რევტრიბუნალის თავმჯ. ნიშნავს სრულიად საქ. საბ. ცენტ. აღმ. კომიტეტი, ხოლო წევრებს და წევრს—მომხსენებელს—ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმი, თანახმად უზენაესი რევტრიბუნალის თავმჯდომარის წარდგენისა.

6. უზენაესი რევტრიბუნალი, სასამართლოს პირველი ინსტანციისამებრ,—მიიღებს წარმოებისათვის,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცალკე დადგენილებით, გადაცემულ,—განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს, განაჩენი რომელთა შესახებ არ განისაჩივრება საკასაციო წესით და შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ზედამხედველობის წესით უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის პლენუმის მიერ.

7. საკასაციო საჩივრების და პროტესტების წარმოება განისაზღვრება დებულების მომქმედი მუხლებით.

8. სასამართლოს წესით საქმეებს გაარჩევს სამოსამართლო კრებული ერთის თავმჯდომარეობითა და ორი წევრის მონაწილეობით.

9. დებულების 47—50 მუხლებით გათვალისწინებული უფლებანი ზედამხედველობისა, რევიზიისა და ინსტრუქტორობის გაწევისა ეკუთვნის უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის პლენუმს—თავმჯდომარისა, ყოველ წევრისა და წევრი—მომხსენებლის შედგენილობით,—პირველის თავმჯდომარეობით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. კალანდაძე.

1922 წ. აპრილს 25.
ტფილისი—სასახლე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უდავო მოთხოვნილებით გადასახდევინებელის აკრების შესახებ

1. სახელმწიფო ხარჯი, ბაჟი თუ გადასახადი და ყოველგვარი უდავო თანხა, რაც არ ექვემდებარება სასამართლოს წესით განხილვას და რაც ხაზინაში უნდა შევიდეს—სხვათა შორის აღმასრულებელ ფურცლებში აღნიშნული მისჯილი მონათხოვი, გადასახდევინებულ უნდა იქნეს [illegible]. საჩივარი არა სწორი გადახდევინების შესახებ [illegible] თვით გადახდევინებას,—შეტანილ უნდა იქნეს, ქვემდებარეობის წესის თანახმად ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში,—დამოუკიდებლად იმ საჩივრებისა, რომელიც შეიტანება მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროში.

2. სახარკო ორგანომ, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებამ, რომელსაც მინიჭებული აქვს უდავო წესით გადახდევინების უფლება, მოთხოვნის სისრულეში მოსაყვანად, უნდა მიმართოს იმ ადგილის მილიციას, სადაც მოვალე ცხოვრობს ან სადაც მისი ქონებაა.

3. უდავო გადასახდევინებელი ანაზღაურებულ უნდა იქნეს მოვალისა ან მისი თავმდების უძრავი და მოძრავი ქონებიდან, ან იმ თანხიდან, რომელიც დარჩება მოვალის კერძო ვალში დაგირავებული ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვისა და აღებული ფულით ამ კერძო ვალის გასტუმრების შემდეგ.

4. ბე თუ გირაო, რომლითაც უნდა შეივსოს უდავო გადასახდევინებელი, აგრეთვე მოვალის სხვა გასანაღდებელი (სარეალიზაციო) ქონება, სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებით, უნდა აიწეროს და საჯარო ვაჭრობით გაიყიდოს იმ წესის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ სასამართლოს აღმასრულებელთათვის შედგენილ ინსტრუქციით.

შენიშვნა: აღწერისა და შემდეგ აღმასრულებელ მოქმედებათა დროს გადამხდევინებელს უფლება აქვს იმ დაწესებულების წარმომადგენელს, რომლის განკარგულებითაც მოხდება უდავო მოთხოვნის სისრულეში მოყვანა.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ქონების შესახებ ცნობები მოიპოვება, მილიციამ უნდა მიიღოს ღონისძიება ქონების მოსაძებნად და ერთი თვის განმავლობაში, დღიდან ქონების მოძებნის შესახებ მოწერილობის მიღებისა, აუწყოს სათანადო ორგანოს ცნობა მოვალის კუთვნილ ქონების ან უქონლობის შესახებ.

6. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ოკუჯავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. ხალარიძე.

დეკრეტი № 1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სანაპირო, სავაჭრო-სამრეწველო საქონელზე გადასახადის დაწესების შესახებ.

შინაური პირუტყვის გადამდებ სენთან,—განსაკუთრებით კი საქონლის ჭირთან საბრძოლველ საშუალებათა გასაძლიერებლად,—საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1922 წლისათვის სანაპირო სავაჭრო-სამრეწველო მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისათვის და აგრეთვე ღორისათვის გადასახადი სამი პროცენტის რაოდენობისა საქონლის ნორმალური შეფასების მიხედვით.

შენიშვნა: გადასახადი ესე არა ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო საქონელზე.

2. საქონლის ნორმალურ ფასს დააწესებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი პერიოდულად — არსებული საბაზრო ფასების მიხედვით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.
ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ბიბინეიშვილი.
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. კალანდაძე.

1922 წ. აპრილი 26.
ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი